ეთერ ქავთარაძე

საატესტატო გამოცდები - მოსწავლეთა და მშობელთა დამოკიდებულების კვლევა

ნაშრომი წარმოდგენილია განათლების მეცნიერების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი: შალვა ტაბატაძე

ასოცირებული პროფესორი

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

თბილისი, 0178, საქართველო

ივლისი, 2019

საავტორო უფლება 2019 ეთერ ქავთარაძე

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ჩვენ, ქვემორე ხელისმომწერნი ვადასტურებთ, რომ გავეცანით ეთერ ქავთარაძის მიერ შესრულებულ სამაგისტრო ნაშრომს დასახელებით: „**საატესტატო გამოცდები - მოსწავლეთა და მშობელთა დამოკიდებულების კვლევა**“ და ვაძლევთ რეკომენდაციას აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის კომისიაში მის განხილვას განათლების მეცნიერებების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

თარიღი ___/___/___

ხელმძღვანელი: _____

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

2019 წელი

ავტორი: ეთერ ქავთარაძე

დასახელება: **საატესტატო გამოცდები - მოსწავლეთა და მშობელთა დამოკიდებულების კვლევა**

ფაკულტეტი : ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა

ხარისხი: განათლების მეცნიერებების მაგისტრი

თარიღი: ___/___/___

ინდივიდუალური პიროვნებების ან ინსტიტუტების მიერ ზემომოყვანილი დასახელების ნაშომის გაცნობის მიზნით მოთხოვნის შემთხვევაში მისი არაკომერციული მიზნებით კოპირებისა და გავრცელების უფლება მინიჭებული აქვს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტს.

ავტორის ხელმოწერა

ავტორი ინარჩუნებს დანარჩენ საგამომცემლო უფლებებს და არც მთლიანი ნაშრომის და არც მისი ცალკეული კომპონენტების გადაბეჭდვა ან სხვა რაიმე მეთოდით რეპროდუქცია დაუშვებელია ავტორის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ავტორი ირწმუნება, რომ ნაშრომში გამოყენებული საავტორო უფლებებით დაცული მასალებზე მიღებულია შესაბამისი ნებართვა (გარდა ის მცირე ზომის ციტატებისა, რომლებიც მოითხოვენ მხოლოდ სპეციფიურ მიმართებას ლიტერატურის ციტირებაში, როგორც ეს მიღებულია აკადემიური ნაშრომების შესრულებისას) და ყველა მათგანზე იღებს პასუხისმგებლობას.

რეზიუმე

იმ დროს, როდესაც განათლება ქვეყნის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიზანია, საატესტატო გამოცდებს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება, თუმცა გამოცდების მოულოდნელმა და უსაფუძვლო გაუქმებამ, მოითხოვა პრობლემის იდენთიფიცირება და ქმედითი ნაბიჯების გადადგმა.

სწორედ ამ მიზანს ემსახურება წინამდებარე ნაშრომი, რომლის **მიზანია** გამოვიკვლიოთ მშობლებისა და მოსწავლეების დამოკიდებულება საატესტატო გამოცდების გაუქმებასთან დაკავშირებით, ასევე რეპეტიტორის ინსტიტუტის არსებობის შესახებ და ჰქონდა თუ არა შედეგი გამოცდების არსებობას მოსწავლეთა საგაკვეთილო პროცესში ჩართულობის ხარისხზე. კვლევისთვის გამოყენებულია **თვისებრივი მეთოდი:** ჩაღრმავებული ინტერვიუ. კვლევამ გამოავლინა, რომ მშობლებსა და მოსწავლეებს გამოცდების გაუქმებასთან დაკავშირებით, ასევე განათლების სისტემის ხარისხთან და სხვა მრავალ საკითხზე ერთნაირი დამოკიდებულება აქვთ. მათი მოსაზრებები თანხვედრაშია გერმანელი და ამერიკელი მოსწავლეების მოსაზრებებთან ზემოხსენებულ საკითხებზე.

იმ ფონზე, რომ საკითხი არც თეორიული და არც პრაქტიკული კუთხით შესწავლილი არ არის, ნაშრომმა შესაძლებელია შეავსოს ლიტერატურაში არსებული დანაკლისი და საკითხმა მეტი დაინტერესება გამოიწვიოს საზოგადოებისა და მკვლევრების მხრიდან.

კვლევის მნიშვნელოვანი მიგნებაა ის, რომ პრობლემა არსებობს, როგორც რეგიონის სკოლებში, ასევე ქალაქის სკოლებში იმ კუთხით, რომ მოსწავლეები ემზდებიან მხოლოდ იმიტომ, რომ გამოცდა ჩაბარონ და ატესტატი აიღონ და არაა იმისთვის, რომ ცოდნა გაიუმჯობესონ, რეალურად გამოდის, რომ სახელმწიფო მათ აიძულებდა ესწავლათ და თანხა გადაეხადათ იმ საგნებში მოსამზადებლად რაც არ აინტერესებთ და ცხოვრებაში არასდროს გამოიყენებენ. შესაბამისად, ასეთი გამოცდების არსებობა, რომელიც რეალურ შედეგს არ იძლევა უნდა გაუქმებულიყო.

Resume

Education continues to be one of the key priority for Georgia, and school graduation exams have been an important part of it. However, unexpected and unreasonable abolition of these exams requires problems to be identified and effective steps to be taken.

The purpose of this study is to research and analyse the attitudes of parents and pupils with regard to the abolition of the graduation exams, as well as the private test prep tutoring practice, and whether exams had an effect on the quality of engagement of students in the learning process. A qualitative research method is used for this study in the form of in-depth interviews. The study has revealed that parents and pupils have the same attitudes towards the abolition of exams, as well as the quality of the education system and many other issues. Their opinions are consistent with the views of German and American students on the above-mentioned issues.

In the light of the fact that the issue has not been studied – either theoretically or practically, this study can fill in the existing scientific literature gap on the topic and can invite more interest on this issue in the general public and the researchers.

This research study makes an important finding in that the problem exists in the schools in different regions as well as the schools in cities in the sense that the pupils prepare simply because just to pass the exams and receive certificates, not because to deepen their knowledge. It seems that the state had forced them to learn and pay the money to private test prep tutors to prepare them for subjects that they do not care about, nor would they ever apply their learning in practice.

შინაარსი

Contents

შესავალი 1

1. ლიტერატურის მიმოხილვა 5

1.1. საატესტატო გამოცდები 5

1.2. გამოცდები და განათლების ხარისხის ხელშეწყობა 8

1.3. გამოცდები როგორც ეფექტური შეფასების სისტემა 10

1.4. მოსწავლეთა დამოკიდებულება გამოსაშვები გამოცდების მიმართ 12

1.5. გამოცდები როგორც ანგარიშვალდებულების მექანიზმი სკოლისთვის 16

2. კვლევის მეთოდოლოგია 21

2.1. კვლევის ლიმიტები, დაბრკოლებები და რისკები 22

3. კვლევის შედეგები 23

3.1. სკოლის მისია და მიზნები 23

3.2. საატესტატო გამოცდები, როგორც ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი 25

3.3. საატესტატო გამოცდები და რეპეტიოტორობის ინსტიტუტი 28

3.4. დამოკიდებულებები საატესტატო გამოცდების შეცვლასთან დაკავშირებით 32

დასკვნა 37

რეკომენდაციები 38
გამოყენებული ლიტერატურა:.....39
დანართი 1 42

შესავალი

საქათველოში საატესტატო გამოცდების პრაქტიკა 2011 წლიდან არსებობს. საატესტატო გამოცდები ე.წ. CAT-ის ტიპის საგამოცდო მოდელით 8 სასკოლო საგანში ტარდება. 2011-2012 წლებში მოსწავლეებმა 8 გამოცდა ერთდროულად ჩააბარეს, 2014 წლიდან მოსწავლეები გამოცდას ორ ნაწილად აბარებენ მე-11 კლასში ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, გეოგრაფიას, ხოლო მე-12 კლასში - ისტორია, მათემატიკა, ქართული ენა და უცხო ენა (გორგოძე, 2017). ცვლილება განაპირობა 2012-2017 წლის ახალმა სასწავლო გეგმამ, რომლის მიხედვითაც საბუნებისმეტყველო საგნების პროგრამა სრულდებოდა მე-11 კლასში, შესაბამისად საბუნებისმეტყველო საგნებში გამოცდა დანიშნეს მე-11 კლასში, ის მოსწავლეები, რომლებიც მე-11 კლასის გამოცდაში ჩაიჭრებიან, განმეორებით ჩააბარებენ გამოცდას მე-12 კლასის შემოდგომის სემესტრში. (ტაბატაძე, 2012). 2011-2012 წლებში ყველაზე მეტი ჩაჭრილი სწორედ საბუნებისმეტყველო საგნებში იყო. მინიმალური კომპეტენციის ზღვარი არის 5.5 ქულა და ამ გამოცდებში მინიმალური კომპეტენციის გადალახვის საფუძველზე გაიცემა საშუალო განათლების ატესტატი. CAT-ის საგამოცდო სისტემა გულისხმობს მოსწავლეების შესაბამისად ადაპტირებულ ტესტს, რომელიც არის ცენტრალიზებული და კონტროლირებადი. ოთახში დამონტაჟებულია ვიდეოკამერა და ხმის ჩამწერი აპარატურა. გამოცდაზე გარკვეული რაოდენობის მოსწავლე შედის, ჯდება კომპიუტერთან და ინდივიდუალურად იწყებს დავალების შესრულებას. ყველა მოსწავლე თანაბარ პირობებშია. თითოეულ საგანს ერთი დღე აქვს დათმობილი. პროგრამა მოსწავლის ცოდნას ინდივიდუალურად ამოწმებს. (განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა, საატესტატო გამოცდები, 2012).

CAT მოსწავლის მიერ გაცემული პასუხებით ადგენს მის დონეს და მიმდინარე შეფასების მიხედვით აძლევს მომდევნო დავალებას, რომელიც აზუსტებს მისი ცოდნის დონეს კონკრეტულ საგანში. მოსწავლის ამ მეთოდით შეფასებისას გასათვალისწინებელია ისეთი ფაქტორებია, როგორიცაა ძლიერი მოსწავლის მიერ მარტივ კითხვაზე მცდარი პასუხის დაფიქსირება და ასევე სუსტი მოსწავლის მიერ

რთულ კითხვაზე პასუხის გაცემა. (ზოგადი ინფორმაცია კატის გამოცდებზე, შეფასების და გამოცდების ცენტრი, 2018).

კომპიუტერულ-ადაპტირებული ტესტი დებს ზუსტ შედეგს. მისი ძირითადი მეთოდი მდგომარეობს შემდეგში:

- მოსწავლისთვის ეძებს ტესტის ოპტიმალურ ვარიანტს;
- მომდევნო კითხვას არჩევს წინა პასუხის სიზუსტე/სიმცდარის მიხედვით;
- შემდეგი გაუმჯობესებული შეფასება დამოკიდებულია, წინა პასუხებზე;
- 1-3 პუნქტი მეორდება მანამ, სანამ არ დასრულდება ტესტი. (Computer Adaptive Testing, Wikipedia, 2019).

CAT-ის გამოცდის უპირატესობა არის, რომ შეუძლია უზრუნველყოს ზუსტი ქულის დაწერა გამოცდის დასრულებისთანავე და მოსწავლეს არ უწევს ლოდინი და ნერვიულობა შედეგზე. „მოსწავლეს მხოლოდ იმ კითხვაზე უწევს პასუხის გაცემა რომელიც მის შესაძლებლობეს შეეფერება, რაც თავის მხრივ გვაძლევს საშუალებას ძალზედ სწრაფად დავადგინოთ აპლიკანტის ცოდნის დონე და უნარები“ - აცხადებს სვამინათან ჰარიჰარანი. (https://urlzs.com/2wSho).

2012 წლის ოქტომბერში მოსწავლეებმა შეიტყვეს, რომ ისინი გამოცდებს 8+1 მოდელით ჩააბარებდნენ, ანუ სკოლის 8 სასკოლო გამოცდას დაემატებოდა უნარების გამოცდა და ამ მეთოდით ჩაირიცხებოდნენ უმაღლეს სასწავლებელში. (ახალი საგამოცდო მოდელი 8+1, 2012*).* 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ მოხდა გარკვეული ცვლილებები რის შემდეგაც შეიცვალა საგამოცდო სისტემა, მოიხსნა 2013 წლის საატესტაო გამოცდები, მოსწავლეები კი შეფასდებოდნენ სკოლის დონეზე ჩატარებული გამოცდების საფუძველზე, ხოლო ეროვნულ გამოცდებს ჩვეულებრივ ჩააბარებდნენ. 2014 წლიდან საატესტატო გამოცდებს კვლავ ცენტრალიზებულად ატარებს შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი. (გიგაური, 2015).

2019 წელს საქათველოს განთლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა, მიხეილ ბატიაშვილმა განაცხადა, რომ მე-11/12 კლასის მოსწავლეებს საატესტატო გამოცდებს მოეხსნათ. (წიკლაური, 2019). ფორმატს (ზეპირი/წერითი გამოცდა, დასწრება, საგაკვეთილო პროცესში აქტივობა და ა.შ.) რის მიხედვითაც მოსწავლეები შეფასდებიან დირექცია და სკოლა დამოუკიდებლად განსაზღვრავს. სკოლა ატესტატს გასცემს აკადემიური მოსწრების საფუძველზე.

იქიდან გამომდინარე, რომ აღნიშნულ საკითხზე ქართულ რეალობაში მხოლოდ ერთი, ლელა ჩახაიას კვლევა არსებობს, „სკოლის გამოსაშვები და ერთიანი ეროვნული გამოცდები[1]“ სწორედ ამიტომ არის მნიშვნელოვანი წინამდებარე კვლევა, რადგან მან შეიძლება შეავსოს ის დანაკლისი, რაც ამ საკითხის გარშემო არსებობს.

კვლევის მიზანია დაადგინოს მე-11 კლასის მოსწავლეთა და მშობელთა დამოკიდებულება საგამოცდო რეფორმასთან დაკავშირებით, მათი მხრიდან ცვლილების დადებითად ან უარყოფითად შეფასება და ანალიზი. **თემის აქტუალობა** როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საატესტატო გამოცდების პრაქტიკა 2011 წლიდან არსებობს, თუმცა ამ საკითხზე არსებულ პრობლემაზე ყოველთვის საუბრობდნენ (გორგოძე, 2017). პრობლემა ყოველთვის იყო, მაგრამ არაფერი შეცვლილა, უფრო მეტიც მოულოდნელად მოიხსნა გამოცდები. საგამოცდო ცვლილება 2019 წელს შევიდა ძალაში, შესაბამიდად ეს თემა სიახლეს წარმოადგენს, იგი არ არის შესწავლილი არც პრაქტიკული და არც თეორიული კუთხით.

საკვლევი თემები:

მოსწავლეების და მშობლების დამოკიდებულება ზოგად განათლებაზე, სკოლის მისიასა და მიზნებზე;

საატესტატო გამოცდები, როგორც ხარისხის უზრინველყოფის მექანიზმი;

საატესტატო გამოცდები და რეპეტიტორის ინსტიტუტი;

[1] https://urlzs.com/ixWQn [25.04.2019]

მოსწავლეების და მშობლების დამოკიდებულება საატესტატო გამოცდების გაუქმებასთან დაკავშირებით.

კვლევის ობიექტი - მე-11 კლასის მოსწავლეების და მშობლების დამოკიდებულება საგამოცდო რეფორმასთან დაკავშრებით.

შევიმუშავეთ კვლევის შემდეგი ჰიპოთეზა:

კვლევის შედეგები, სავარუდოდ ცხადყოფს, რომ მოსწავლეებს და მშობლებ პოზიტიური დამოკიდებულება გააჩნიათ შემოთავაზებული ცვლილებისადმი;

მშობლებს გააჩნიათ ნეგატიური დამოკიდებულება საატესტატო გამოცდების მიმართ, რადგან საატესტატო გამიცდებს არ ჰქონიათ დადებითი გავლენა განათლების ხარისხის გაუმჯობესებაზე, სკოლაში დასწრების ინტენსივობის ზრდაზე და საგნების სწავლებისას მიღწევებზე; საატესტატო გამოცდებმა გააძლიერეს რეპეტიტორის ინსტიტუტი, რამაც ნეგატიური ასახვა ჰპოვა ოჯახების სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზ

პრობლემები გამოვლინდება რეპეტიტოორთა ინსტიტუტის მიმართულებით, კერძოდ სასკოლო საგნებში მომზდებაზე და დამატებითი თანხის გადახდაზე.

სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში ჩატარებული კვლევა მოიცავს **თვისებრივი** კვლევის მეთოდს, კერძოდ სიღრმისეულ ინტერვიუს, მე-11 კლასის მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან. კვლევის ფარგლებში ასევე ჩატარდა არსებული კვლევების სიღრმისეული ანალიზი. კვლევა ჩატარდა თბილისში და რაიონში, რათა შევადაროთ სოფლის და ქალაქის მოსწავლეთა და მშობელთა დამოკიდებულებები ერთმანეთს.

კვლევის დროს გამოვიყენე ჩემ მიერ შედგენილი გეგმა, რომელმაც საშუალება მოგვცა კვლევისთვის მიმართულების მისაცემად.

1. ლიტერატურის მიმოხილვა

1.1. საატესტატო გამოცდები

დღეისათვის აღარავინ კამათობს იმაზე, რომ რაც უფრო მაღალია განათლების დონე ქვეყანაში, მით უფრო სწრაფად ვითარდება მისი ეკონომიკა. მოსახლეობის კარგი განათლება პოზიტიურად აისახება ცხოვრების სხვა სფეროზეც, მაგ.: სახელმწიფო მართვის ხარისხზე, დასაქმებულობასა და მოსახლეობის სიცოცხლის ხანგრძლივობაზეც კი. მიუხედავად იმისა, რომ განათლება ვერ იქნება „ყოვლისშემძლე იარაღი“ ქვეყნის ყველა ეკონომიკური პრობლემის გადასაჭრელად, გარკვეული კორელაცია ქვეყნის კეთილდღეობასა და განათლების დონეს შორის ნამდვილად არსებობს. (შეფასებისა და გამოცდების სისტემა, კანონშემოქმედებითი საქმიანობის საინფორმაციო უზრუნველყოფის განყოფილება, კვლევითი დეპარტამენტი, გვ. 1).

საგამოცდო სისტემა მსოფლიოში აღიარებული და მიღებული მეთოდია ნებისმიერ სფეროში. შესაბამისად გამოცდა და მისი შედეგი არის პასუხი კითხვაზე რამდენად ღრმა ცოდნა აქვს ადამიანს. საატესტატო გამოცდების გაუქმებასთან დაკავშირებით არსებობს მხოლოდ ერთადერთი კვლევა, რომელიც გახდა საფუძველი გამოცდების გაუქმების. კვლევა სახელწოდებით - სკოლის გამოსაშვები და ერთიანი ეროვნული გამოცდები, მომზადდა შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრისთვის, კვლევის ავტორი არის - ლელა ჩახაია, კვლევის ასისტენტი - ლიკა ზაალიშვილი, კვლევა ჩატარდა 2019 წელს.

აღნიშნულ კვლევაში განხილულია საქართველოში ზოგადი და ეროვნული გამოცდების ჩატარების მეთოდები და მისი ჩატარების ცენტრალიზებული(გამოცდები) სისტემა. ეს ორი გამოცდა განმსაზღვრელია როგორც სკოლის მოსწავლის, ასევე სტუდენტის სამომავლო პერსპექტივისთვის, რადგან საატესტატო გაცდაში ჩაჭრის შემთხვევაში ვერ აიღებენ ატესტატს და დაკარგავენ სტუდენტობის ერთ წელს, ხოლო ეროვნულ გამოცდებზე თუ ვერ აიღებენ მაღალ შეფასებას ისინი ვერ მიიღებენ დაფინანსებას. შესაბამისად ორივე გამოცდა და ამ გამოცდების გამართული შეფასების სისტემა მნიშვნელოვანი ფაქტორია. სკოლებში სასწავლო პერიოდში ჩატარებული ტესტური თუ ზეპირი გამოკითხვები მნიშვნელოვანი და განუყოფელი ნაწილია, რომელიც განსაზღვრავს მოსწავლეების კლასიდან კლასში გადაყვანის და დამამთავრებელი სერთიფიკატის გაცემა და ა.შ. მსოფლიოს მასშტაბით თანდათან აქტუალური ხდება სტანდარტიზებული შეფასების ჩატარება ცენტრალურ დონეზე. იგი გულისხმობს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მოსწავლეებისმ მასწავლებლების და სკოლების მიღწევები ქვეეყნის/რეგიონის/სკოლის მასშტაბით, სტანდარტიზებული გამოცდა მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ შედეგი არა არის შემფასებელის ინდივიდუალურ მიდგომაზე დამოკიდებული. საგამოცდო საკითხი მუდმივი განხილვის საგანია, როგორც საქართველოში ასევე მსოფლიოს მასშტაბით. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ცენტრალიზებული გამოცდების რაოდენობა ბევრია და იგი ზედმეტად ორიენტირებულია ტესტირებაზე.

სკოლის გამოსაშვები გამოცდები როგორც თავისი სტრუქტურით ასევე ფუნქციით განსხვავდება ერთიანი ეროვნული გამოცდებისგან. გამოსაშვები გამოცდების მიზანია დაადგინოს მოსწავლეთა ცოდნის დონე, რათა მათ შეძლონ ზოგადიი განათლების დამადასტურებელი ატესტატის აღება. თითოელ საგანში მინიმალური კომპეტენციის ქულა შეადგენს 5.5. გამოცდა ადაპტირებულია რაც გულისხმობს, რომ კომპიუტერი ავტომატურად განსაღზვრავს მოსწავლის ცოდნის დონეს და მას აწვდის მისი დონის შესაბამის ტეტს, თუკი მოსწავლე 10 ქულიდან 5.5 ქულაზე ნაკლებს აიღებს, ეს ნიშნავს რომ მას კონკრეტულ საგანში მინიმალური კომპეტენციის დონე არ გააჩნია.

სკოლის გამოსაშვები გამოცდების დანერგვა მიზნად ისახავდა: 1. სკოლაში მოსწავლეთა დასწრების გაზრდას; 2. სკოლების ანგარიშვალდებულების გაზრდას; (Bakker, 2014). ქართველი ექსპერტები გამოცდების შემოების მიზეზად ასახელებენ სააბუნებისმეტყველო მეცნიერებების მამართ ნაკლებ ინტერესს.

2010 წელს სკოლებში გამოცდების შემოღების მთავრი მიზეზი იყო უფროს კლასელთა მუდმივი დაგვიანება და გაცდენა, ამაზე ბევრი სხვადასხვა ფაქტორი მოქმედებს მასწავლებელთა კომპეტენცია, მოსწავლეების დამოკიდებულება, რეპეტიტორებთან მომზადება და სკოლის (დირექტორის, ადმინისტრაციის, მასწავლებლის) მიმართ მათი დამოკიდებულება.

გაცდენების ზუსტი რაოდენობა წლების მიხედვით არ არსებობს, შესაბამისად ვერ შევადარებთ მონაცემებს ერთმანეთს, როგორი იყო გაცდენების პროცენტული რაოდენობა 2011 წლამდე და მის შემდგომ. თუმცა ჩატარებული კვლევიდან იკვეთება, რომ გამოცდები არ არის გაკვეთილებზე დასწრების განმსაზღვრელი ფაქტორი. დასწრება ძირითადად დამოკიდებულია ეროვნულ რეგულაციასა და დირექტორის დამოკიდებულებაზე. მოსწავლეებს აქვთ უფლება გააცდინონ გაკვეთილების საერთო რაოდენობის 30%. საქრთველოში არსებობს სკოლები, სადაც „არა იწერება“ და სკოლები, სადაც „არა არ იწერება“. ებენ. ერთ-ერთ მთავარ პრობლემად ასევე სახელდება რეპეტიტორები, რომლებიც დამატებით მეცადინეობას დილის საათებში ატარებენ და არ ითვალისწინებენ სკოლას, მოსწავლეები პრიორიტეტს ანიჭებენ რეპეტიტორებს და ამის ხარჯზე აცდენენ გაკვეთილებს. (სკოლის დირექტორები აღნიშნავენ, რომ თავდაპირველად დასწრება გაიზარდა, შემდეგ კი სასკოლო გამოცდების მომზადების პროცესმაც რეპეტიტორებთან გადაინაცვლა, გამოკითხული მოსწავლეები აღნიშნავენ, რომ მე-11 კლასში ისინი ესწრებიან გაკვეთილებს, რადგან გამოცდებს სწორედ სკოლის ცოდნით აბარებენ, თუმცა არიან მოსწავლეები, რომლებიც გამოცდებისთვის 3-4 თვე ემზადებიან.). მეორე მიზანი, რაც საფუძვლად ედო გამოსაშვენ გამოცდებს იყო სკოლების ანგარიშვალდებულების გაზრდა. გამოცდების დაანონსებამ სკოლის დირექტორები შეაშფოთა. მაშინდელმა მინისტრმა დიმიტრი

შაშკინმა ისინი გააფრთხილა, რომ გამოცდების შედეგები აისახებოდა მათ საქმიანობაზე. გამოცდების პირველად ჩატარების შემდეგ მართლაც მოიხსნა რამდენიმე დირექტორი. გამოსაშვებმა გამოცდებმა რაზეც გავლენა მოახდინა იყო მოსწავლეთა რაოდენობა დამამთავრებელ კლასებში. გამოცდების ჩატარების შემდგომ აკადემიურ წელს მოსწავლეთა რაოდენობა საგრძნობლად შემცირდა მე-10, მე-11, მე-12 კლასებში, რაც განპირობებული იყო გამოცდებზე ჩაჭრის შიშით, მეორე მხრივ კი დირექციამ და მასწავლებლებმა იმ მიზნით რომ სამსახური არ დაეკარგათ, წაახალისეს ბავშვები, დაუწერეს შეფასებები, რათა ადრევე გასულიყვნენ სკოლიდან.

1.2. გამოცდები და განათლების ხარისხის ხელშეწყობა

გერმანიის საგანმანათლებლო პოლიტიკამ რეაგირება მოახდინა "PISA shock", რასაც ზოგჯერ უწოდებენ „პარადიგმის ცვლადს", ძველი მოდელი ორიენტირებული იყო მმართველობაზე. ახალი პარადიგმის ერთ-ერთი მთავარი ელემენტია ეროვნული ხარისხის სტანდარტი, რომელიც 2005 – 2006 სასწავლო წელს სავალდებულო გახდა, რომელიც განსაზღვრავს სხვადასხვა ასაკის მოსწავლეებისთვის, სხვადასხვა ტიპის სკოლების შესაბამის კომპეტენციებს. მჭიდროდ დაკავშირებული საკითხი, რომელსაც დიდი ყურადღება ექცევა არის სკოლის გამოსაშვები გამოცდების სტანდარტების დანერგვა მთელ ქვეყანაში. გერმანიის ფედერალურმა სახელმწიფომ, მის ქვეყანაში არსებულ მიწებს, რომლებშიც ეს მეთოდი არ იყო დანერგილი, გააცნო და დანერგა გამოსაშვები გამოცდები. ამასთანავე, გერმანიის 7 მიწამ დანერგა მუდმივი ტესტი დაწყებით და საშუალო სკოლებში. (Jürges & others, 2010).

არსებული კვლევა გვიჩვენებს ეროვნული და გამოსაშვები გამოცდების შედეგებს განათლების ხარისხზე, რომელმაც უნდა გაზარდოს სკოლის მიღწევები საგამოცდო საგნებში. მასწავლებლები, სკოლის ადმინისტრაცია, მშობლები და მოსწავლეები

ორიენტირებულნი უნდა იყვნენ აკადემიურ მოსწრებაზე. უარყოფითი მხარე არის ის, რომ მან შეიძლება გამოიწვიოს ორიენტირება საზეპირო ნაწილზე, ვიდრე მთლიანი ტექსტის კონტექსტის გაგებაზე. ემპირიული ტესტის შედეგებით დასკვნა არის ის რომ პოზიტიური ეფექტი დომინირებს. (Jürges & others, 2012).

Performance Assessment Review (PAR) Board, რომლის მიზანია სკოლის მასშტაბით მოსწავლეთა მუშაობის ხარისხის დადგენა, ასევე თითოეულ სკოლაში მუშაობის კონსორციუმის შეფასების სისტემის ეფექტურობა. ამის შემდეგ კომიტეტი პასუხობს კონსორციუმის ანგარიშვალდებულებას მაღალი დონის მოსწავლეების და სკოლის ვალდებულებების შესრულებაზე. იმისათვის, რომ სკოლები ჩაერთონ და მათი მოსწავლეები იყვნენ განათლებულები, კონსორციუმი საჯაროდ ავრცელებს სტატისტიკას, რომელიც დარდება ნიუ-იორკის სკოლებს. ეს ინფორმაცია განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან კონსორციუმის სკოლებს უფრო მეტი მოსწავლე ყავს, რომლებიც სარგებლობენ უფასო ან შემცირებული საფასურით ლანჩზე, ბევრი მოსწავლე იღებს სპეციალურ საგანმანათლებლო მომსახურებას. კონსორციუმის მიზანია დაადასტუროს, რომ ასეთი განათლება ამზადებს მოსწავლეებს გამოცდებისთვის, კონსორციუმი 2001 წლიდან მუშაობს და იკვლევს კურსდამთავრებულ მოსწავლეთა რაოდენობას, რომლებიც კოლეჯში ჩაირიცხნენ. აღსანიშნავია, რომ კონსორციუმი არ ზომავს ტესტის შედეგებს, რადგან მათი სკოლები თავისუფლდება ნიუ-იორკის შტატის გამოცდებისგან. კონსორციუმის სკოლები განათავსებენ კურსებიდან გამოვარდნის/დატოვების დაბალ მაჩვენებელს, კოლეჯში წამსვლელთა მაჩვენებელს, და უმაღლესი ყოველდღიური დასწრება.. 1995 წელს, ნიუ-იორკის განათლების ყოფილმა თავჯდომარემ თომას სობოლმა, კონსორციუმის სკოლებს სახელმწიფო რეგენტის გამოცდაზე უარის თქმის უფლება მისცა. ამგვარად, მან მხარი დაუჭირა მათ გამჭვირვალობის განვითარებასა და გამოყენებას, გარედან დამტკიცებული ეფექტურობის შეფასების სისტემა - საიმედო ყველა სკოლაში - რაც ხელს შეუწყობს კომპლექსურ სწავლებას და სიღრმისეულ ცოდნას სახელმწიფო სტანდარტებისა და მის ფარგლებს გარეთ. (Bishop, 1999).

1.3. გამოცდები როგორც ეფექტური შეფასების სისტემა

თეორიული ლიტერატურა და კვლევები გვიჩვენებს, რომ ცენტრალური სტანდარტების გაუმჯობესებამ და გამოსაშვები გამოცდების დანერგვამ სწავლის ხარისხი საგრძნობლად გაზარდა. საგამოცდო სისტემის ფუძემდებლები მიზნად ისახავდნენ სკოლების, მასწავლებლების და მოსწავლეების წახალისებას, ვიდრე დეცენტრალიზებულ გამოცდებს. მოსწავლეები თვლიან, რომ გამოსაშვები გამოცდები უფრო ღირებულია მათთვის სამუშაო ბაზარზე, ვიდრე სხვა არატრადიციული გამოცდები. არსებული ლიტერატურის დიდი ნაწილი გამოცდების შედეგების გარეშე ცდილობდა გაერკვია თუ რამდენად ზუსტად მუშაობდა CEE. ამ კვლევის მთავარი მიზანიც სწორედ ისაა დაადგინოს აღწევს თუ არაა გამოსაშვები გამოცდები რეალურ შედეგს. კერძოდ, განსხვავებული არის თუ არა მოსწავლეების და მასწავლებლების დამოკიდებულება სწავლის პროცესის მიმართ. მაგალითად, პედაგოგებმა, რომელთა მოსწავლეებსაც უნდა ჰქონდეთ სტანდარტიზებული გამოცდები საშუალო სკოლის ბოლოს, შესაძლებელია შეიმუშაონ უფრო ეფექტური სწავლების მეთოდი, ასევე შეუძლიათ გაზარდონ მოსწავლეთა დატვირთვა. CEE- ში, მოსწავლეები აბარებენ გამოცდას მხოლოდ ერთ ან ორ საგანში, კერძოდ მათემატიკაში და არჩევით საგანში. ითვლება, მათემატიკაში / მეცნიერებათა შორის განსხვავებები ტესტების ქულების, სწავლების პრაქტიკის (მოსწავლეებისა და მასწავლებლების მიერ აღქმული), სტუდენტის ქცევა და დამოკიდებულება. (Jürges & others, 2010).

დადებითი და უარყოფითი დამოკიდებულებების იდენთიფიცირება გამოსაშვებ გამოცდებთან დაკავშირებით ადვილი არ არის. სიფრთხილით არის განსაზღვრული გამოვლენილი განსხვავებები, გამოცდების დანიშვნამდე და მის შემდეგ (იგულისხმება გამოცდების ეფექტიანობა და სტუდენტთა მიღწევები), რადგან გამოცდები უფრო მეტად პოლიტიკური პროცესია და პოტენციურად ენდოგენურიცაა. განხილულია გერმანიაში

ცალკეულ რეგიონებში არსებული საგამოცდო პრაქტიკა, რაც შედარების საშუალებას იძლევა თუ როგორია აკადემიური მოსწრება და რამდენად შეიცვალა სწავლების პრაქტიკა და სტუდენტების დამოკიდებულება გამოცდების მერე. (Jürges & others, 2010).

კვლევა ტარდება TIMSS 1995 წლის მონაცემებზე დაყრდნობით, რათა გამოიყენონ ინსტიტუციური ვარიაცია და გამოავლინონ CEE-ის მიზეზობრივი ეფექტი მათემატიკის, სწავლების პრაქტიკისა და სტუდენტების დამოკიდებულების შესახებ მათემატიკაში, რადგან შეფასდეს შედეგების ცვალებადობა სუბიექტებისა და გამოსაშვები გამოცდების ტიპების მიხედვით. ფუნდამენტური იდეა ის არის, რომ CEE გავლენას ახდენს მხოლოდ მათემატიკასთან დაკავშირებული შედეგებით, მაგრამ არაა მეცნიერულ შედეგებით. კვლევის 3 ძირითადი მიზანია: პირველი - CEE აქვს მცირე, მაგრამ სტატისტიკურად მნიშვნელოვანი გავლენა მოსწავლეთა შედეგებზე; მეორე - მასწავლებელები, CEE სისტემის მიწებში, უფრო მეტად აძლევენ, ამოწმებენ და განიხილავენ საშინაო დავალებას; მესამე - ცენტრალური აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების სტუდენტებს ნაკლებად მოწონთ მათემატიკა როგორც საგანი, მიიჩნევენ როგორც ნაკლებად საინტერესოს და უფრო მოსაწყენ საგანს, სხვა ქვეყნების სტუდენტებისგან განსხვავებით. ვხვდებით მცირე სხვაობას სწავლების პრაქტიკასთან დაკავშირებით, როგორიცაა საშინაო დავალების მიცემა და გამოკითხვა, განსხვავებულია მოსწავლეების ქცევა საკლასო ოთახში და ასევე მოსწავლეების მოტივაცია მათემატიკის სწავლებასთან დაკავშირებით. (Jürges & Others, 2010).

საბოლოოდ CEE-ს ძირითადი ეფეტქია ის რომ, მასწავლებლები გაზრდიან მოსწავლეებზე ზეწოლას, იმის მაგივრად რომ მასწავლებლებმა გამოიყენონ უფრო დახვეწილი და ინოვაციური სწავლების მეთოდები, ისინი იყენებენ ძველ მეთოდს. თუმცა საშინაო დავალების მიცემა, შემოწმება და განხილვა აუცილებლად საჭიროებს მასწავლებელთა მხრიდან დიდ ძალისხმევას. მაგრამ მთლიანობაში მატემატიკაში მოსწავლეთა მიღწევები მეტწილად მოსწავლეთა ძალისხმევაზეა დამოკიდებული. (Jürges & others, 2010).

1.4. მოსწავლეთა დამოკიდებულება გამოსაშვები გამოცდების მიმართ

გერმანიის PISA 2003 წლის ნიმუშში ყურადღება მახვილდება მოსწავლეთა დამოკიდებულებაზე გამოსაშვები გამოცდების მიმართ. წინა კვლევებისგან განსხვავებით, გამოყენებულია დამატებითი ღირებულების ზომები იმისთვის რომ გავიგოთ ცენტრალური გასასვლელი გამოცდების ეფექტიანობა განათლების შედეგზე და განვაცალკეოთ საგამოცდო ქულები მათემატიკური ცოდნასა და სასწავლო კურიკულუმზე დაფუძნებულ ცოდნას შორის. საბოლოო დასკვნებიდან ჩანს, რომ გამოსაშვები გამოცდები კურიკულუმის ცოდნას აუმჯობესებს, მაგრამ გავლენას ვერ ახდენს მათემატიკურ ცოდნაზე. მიუხედავად იმისა, რომ მოსწავლეები, სკოლაში ნაკლებად არიან მოტივირებულები, უკეთეს შედეგს აჩვენებენ. შესწავლილია გამოსაშვები გამოცდების ეფექტი მოსწავლეთა დამოკიდებულებაზე. (jürges & Others, 2010).

1. დამატებითი ღირებულების გაზომვა;

2. მათემატიკური ცოდნისა და კურიკულუმის ცოდნის ცალკეული გამოცდა;

3. გამოსაშვები გამოცდა აუმჯობესებს კურიკულუმის ცოდნას;

4. გამოსაშვები გამოცდები გავლენას ვერ ახდენს მათემატიკურ ცოდნაზე;

5. მოსწავლეები სკოლაში ნაკლებად არიან მოტივირებულნი.

კვლევაში წარმოდგენილია გამოსაშვები გამოცდების ეფექტურობა. თეორიულად გამოსაშვები გამოცდები დადებით ეფექტს ახდენს მოსწავლეთა მიღწევებზე, ასევე მასწავლებლის და მოსწავლის წახალისებაზე. (jürges & Others, 2010).

2003 წლის PISA-I-Plus-ის მონაცემებზე დაყრდნობით გაანალიზებული მათემატის გამოცდზე გასულ მოსწავლეთა შედეგები და ზოგადი დამოკიდებულება მათემატიკის მიმართ. PISA-I-Plus-ის მონაცემები აღემატება სხვა მონაცემებს ორი მიზეზის გამო პირველ რიგში ისინი მე-9, მე-10 კლასში განმეორებითი ღონისძიებების

ჩატარებას ითვალისწინებენ, ისე რომ ჩვენ შეგვიძლია ამ მიღწევების გაზომვა. მეორე მონაცემები საშუალებას იძლევა გაიმიჯნოს მიღწევები მათემატიკის ტესტსა და კურიკულუმის ცოდნას შორის. ანალიზი გვიჩვენებს, რომ გამოსაშვები გამოცდები მნიშვნელოვნად ზრდის კურიკულუმის ცოდნის დონეს. თუმცა ნამდვილად არ არსებობს შემთხვევა, რომ გამოცდებს მათემატიკის სწავლების დონე გაეზარდა, იგი ერთადერთი კომპონენტია, რომელიც უცვლელი რჩება. ამგვარად ნაშრომში აღწერილია გამოცდების ეფექტურობა და მონაცემების შედარება ძველ შედეგებთან. კვლევები ადასტურებს, რომ გამოცდები უარყოფითად მოქმედებს მოსწავლეების დამოკიდებულებაზე. კერძოდ გამოცდების პერიოდში ისინი მეტად შეშფოთებულები, სასოწარკვეთილები და ნაკლებად მოტივირებულები არიან. (jürges & Others, 2010).

კვლევაში შესწავლილია გერმანიაში მოსწავლეების მიერ შესრულებული ცენტრალური გამოსაშვები გამოცდების მიზეზობრივი ეფექტი და აღმოჩენილია კმაყოფილების მცირე მაჩვენებელი. იკვლევენ რეალურად რა მართავს ამ ეფექტს. ჩანს, რომ მასწავლებელთა ძირითადი რეაქცია CEES-სთან დაკავშირებით წარმოადგენს საშინაო დავალების რაოდენობის გაზრდას, მისი შესწავლასა და განხილვას. გაიზარდა მოსწავლეთა მიმართა სასწავლო ზეწოლა, რამაც უარყოფითად იმოქმედა მოსწავლეთა დამოკიდებულებაზე სწავლის მიმართ. მოსწავლეები, რომლებიც აბარებენ გამოსაშვებ გამოცდას მათემატიკაში, მათემატიკის მსგავსად სხვა საგნები ნაკლებად ეადვილებათ. მესამე საერთაშორისო მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერების შესწავლის (TIMSS) და საერთაშორისო სტუდენტური შეფასების პროგრამის (PISA) გამოცდის შედეგების გამოქვეყნების შემდეგ, სკოლის რეფორმამ გერმანულ საზოგადოებაში განახლებული ინტერესი მოიპოვა. კერძოდ, PISA-ს შედეგები გერმანიის სასკოლო სისტემის რეფორმის აუცილებლობის შესახებ ინტენსიურ პოლიტიკურ დისკუსიას ასახავს. დისკუსიის ერთ-ერთ ნაწილში ყურადღება გამახვილებულია არასაკმარის ფინანსურ რესურსზე სასკოლო სისტემაში, მაგალითისთვის ერთ-ერთი საჩივარი ეხებოდა დიდი ზომის კლასებს. თუმცა განათლების სისტემაში ფინანსურმა შეღავათებმა შეიძლება გარკვეულწილად გაზარდოს შედეგები. უნდა აღინიშნოს, რომ განათლების სისტემა მუშაობს

მარგინალური დაბრუნების შემცირებით. გერმანიის მსგავსად განვითარებულ ქვეყნებში, გაუგებარია რატომ არ იზრდება განათლების ბიუჯეტი თუ გადასახადები საკმარისად მაღალია. ფაქტობრივად სკოლის რესურსი მოსწავლის მიღწევითვის ხშირად მცირე და ზოგჯერ შეუსაბამოა (როგორც ეს იყო კლასის ზომის განხილვის შემთხვევაში). მარტო რესურსების ზრდა არ არის საკმარისი, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე ეხება ამხელა მოსახლეობას. სკოლაზე ორიენტირებული მიდგომის ალტერნატივა არის სკოლის სისტემის ინსტიტუციონალურად მოწყობა. მკვლევარის აზრით, მოსწავლეების და სკოლების წახალისებამ, შეიძლება გაზარდოს ფინანსური მაჩვენებელი. ამდენად, ინსტიტუციონალური ცვლილება საკმაოდ ეფექტური იქნება. ზოგადად მკვლევრები საჯარო სკოლაზე ორიენტირებულ მმართველობას ანიჭებენ უპირატესობას. ესენია: საგანმანათლებლო მიზნების განსაზღვრა, ამ მიზნების წახალისება და სკოლებისთვის შესაბამისი გეგმის დასახვა ამ მიზნების მისაღწევად. ყველაზე მნიშვნელოვანია იყოს მეტი კონკურენცია სკოლებს შორის და შემუშავდეს ინდიკატორები, რომლებიც შეადარებს სკოლებს ერთმანეთს. (Jürges & Others, 2010).

ანალიზის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შედეგია ის, რომ ცენტრალური გამოსაშვები გამოცდების შედეგად მიღწევა-წარმატებებში განსხვავებები ჩვეულებრივ, მხოლოდ არააკადემიურ სფეროში გვხვდება. არსებობს შედეგების სხვადასხვაგვარი ახსნა. პირველი ახსნა უკავშირდება განსხვავებას სასწავლო წლის დამთავრებამდე, რომელიც ამცირება CEE-ს ეფექტიანობას. ამის კიდევ ერთი ახსნა არის ის, რომ სტუდენტები საგამოცდო სკოლებში, გარე სტანდარტების არ არსებობის შემთხვევაშიც კი, შესაძლებელია შინაგანად ყოველთვის უფრო მეტად მოტივირებულნი იყვნენ სწავლისათვის. აქედან გამომდინარე ისინი უფრო მეტად მოტივირებულები არიან CEE-ის გამოცდებისთვის. გარდა ამისა გამოსაშვები გამოცდები გერმანულ სახელმწიფოში ყოველთვის არსებობდა, თუმცა ის არ იყო ცენტრალიზებული და ადმინისტრირებული. ამდენად სასწავლო გეგმა იყო სავალდებულო სკოლებისთვის, რადგან ისინი ცენტარლიზებული გამოცდების გარეშეც წარმატებით ფუნქციონირებდა. არასაგამოცდო ქვეყნებში(მიწებზე) არ არსებობს ფორმალური გამოსაშვები გამოცდები. აქედან გამომდინარე, არ მოიძებნება დამაჯერებელი არგუმენტი CEE-ს დადებით

ეფექტზე მოსწავლეების მიღწევებზე. მნიშვნელოვანი გავლენა არააკადემიურ მოსწავლეებზე, შეიძლება განიხილოს, როგორც სასარგებლო მიღწევა გამოცდების შემდეგ მათი აკადემიური მოსწრების ზრდით. აქდან გამომდინარე, კვლევის შედეგები მხარს უჭერს მონიტორინგს სტუდენტების მიღწევებზე ყველა კლასში. (jürges & Others, 2010).

შედეგები ცხადყოფს, რომ თუ მონიტორინგი დაწესდება, გამოსაშვებ გამოცდებამდე მასწავლებლები პრაქტიკულად შეასწავლიან სასწავლო პროგრამებს, ეს არის ის რაც მოსალოდნელია. მათემატიკური ცოდნა ავტომატურად არ გაუმჯობესდება. აღსანიშნავია, რომ განსხვავება სასწავლო გეგმასა და ლიტერატურულ ტესტს შორის არის ამერიკის შეერთებული შტატების ბოლო მონაცემების შესაბამისი, სადაც სახელმწიფო მანდატით ჩატარებულ გამოცდებზე გამოიკვეთა სასწავლო პროგრამების ცოდნის შესამჩნევი ზრდა, მაგრამ არაა მათემატიკური კონცეფციების უკეთ გაგებაში, რაც საშუალებას აძლევს მოსწავლეებს, რომ მათემატიკა გამოიყენონ ყოველდღიურ ცხოვრებაში, როგორც ეს განსაზღვრულია PISA-ში. (jürges & Others, 2010).

საგამოცდო საგნებში აკადემიურმა მოსწრებამ საგრძნობლად მოიმატა, აკადემიური მიღწევები დაფუძნებულია კურიკულუმზე. ამ ჰიპოთეზის ტესტირება ძნელია, რადგან ის შეიძლება შეფასდეს, მხოლოდ საგანმანათლებლო სისტემის შედარებით და არა ინდივიდების, საკლასო ოთახების ან სკოლების შედარებით. დამოუკიდებელი დაკვირვების რაოდენობა მცირეა და ფორმალური სტატისტიკური ტესტებიც შესაბამისად მცირეა. სამი განსხვავებული საერთაშორისო ანალიზიდან ჩანს,რომ მსგავსი ტიპის ქვეყნებში ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით ყურადღება გამახვილებულია 4 განსხვავებულ საგანზე ესაა: მეცნიერება, მათემატიკა, კითხვა და გეოგრაფია. შვედი მოსწავლეების პროპორცია ზედა საშუალო სკოლაში მათემატიკასა და მეცნიერების კურსებზე დაეცა მას შემდეგ რაც გამოსაშვები გამოცდები გაუქმდა 1970-წლების დასაწყისში. გარდა ამისა, სხვა ქვეყნებსა და რეგიონებში მცხოვრები მოსწავლეებისგან განსხვავებით, კანადაში მცხოვრებ მოსწავლეებს (და აშშ-

ს სახვადასხვა შტატში) ასეთი სახის გამოცდებით, აქვთ მათემატიკასა და მეცნიერებებში მეტი ცოდნა. CBEEES-ის ქვეყნებსა და რეგიონებში მოსწავლეთა მიღწევის განსხვავება არ აღემატება იმ იურისდიქციებში, რომლებიც არ აკმაყოფილებენ ასეთ გამოცდებს. (John H. Bishop, 1999).

1.5. გამოცდები როგორც ანგარიშვალდებულების მექანიზმი სკოლისთვის

„საყოველთაოდ აღიარებულია, რომ თუ მოსწავლე ჩააბარებს სახელმწიფო ტესტს, რომელიც შეესაბამება სახელმწიფო სტანდარტს, სკოლა მათი განათლებისთვის კარგ საქმეს აკეთებს, ხოლო თუ ისინი ჩააბარებენ სახელმწიფო გამოცდებს, ისინი მზად არიან კოლეჯის გამოწვევების მისაღებად. ქალბატონი ფუტესი ამ მოსაზრებებს კითხვებს უსვამს და აძლევს ალტერნატიულ გზას მოსწავლეებს უმაღლეს განათლებაზე“ - მართა ფუტერი. (Phi Delta Kappan, 2007).

ამერიკის შეერთებული შტატების საგანმანათლებლო სისტემაში, სტანდარტებისა და ანგარიშვალდებულების სისტემა შეიცვალა. პრეზიდენტმა ბუშმა 2002 წლის იანვარში ხელი მოაწერა NCLB-ის ხელშეკრულებას (No Child Left Behind), რომელიც ითვალისწინებდა საჯარო სკოლის ყოველწლიურ ტესტირებას ინგლისურსა და მათემატიკაში 3-8 კლასში, ბევრმა სკოლამ შექმნა საკუთარი ანგარიშვალდებულების სისტემა, რომელიც დაფუძნებულია სახელმწიფო გამოცდების სტანდარტზე. მთელი ქვეყნის მასშტაბით ტესტები, FCAT - ფლორიდაში, TAAS მოგვიანებით - TAKS -ტეხასში, SOL - ვირჯინიაში, MCAS - მასაჩუსეთში, AIMS - არიზონაში, ჩატარდა. სახელმწიფომ გამოიყენა იმ გამოცდების შედეგები, რომლებიც შტატებმა გამოიყენეს იმ გამოცდების შედეგები იმისათვის, რომ განესაზღვრად თავიანთი საგანმანათლებლო ჯანმრთელობა და, შესაბამისად, შეეფასებინათ თავიანთი სკოლები. NCLB-ის ხელშეკრულების ფარგლებში შტატების რაოდენობა იზრდება, სადაც გამოსაშვები გამოცდები ჩატარდება. შტატების უმრავლესობამ გამოცდა ჩაატარა დაბალ კლასებშიც, მაგრამ

ჩნდება კითხვა იმის შესახებ რამდენადაც გაიზარდა ტესტის შედეგები, ნამდვილად გაიზარდა თუ არა სწავლის ხარისხი და რამდენად შესაძლებელია ტესტით რეალური ცოდნის გაგება. რადგან სწორედ ტესტის შედეგების მიხედვით იზომება სკოლა და მოსწავლე, მიიღონ რეალური შედეგები, რაც გულისხმობს კითხვას და პასუხს. (Phi Delta Kappan, 2007).

ზემოხსენებული, „სტანდარტები და ანგარიშვალდებულებები“, საკმაოდ მარტივია. პირველი - შტატები განსაზღვრავენ შინაარს და უნარებს - ანუ „სტანდარტებს“ - მათ სტუდენტებს ჭირდებათ ცოდნა. მასწავლებელი მათ ამ სტანდარტს ასწავლის და შემდეგ ტესტი გაზომავს სჭირდება თუ არაა მოსწავლეს აღნიშნული გამოცდები. NCLB-ის ფარგლებში, თუ სკოლები ვერ აკმაყოფილებენ თავიანთი შტატის ადექვატური წლიური პროგრამის მიზნებს, რაც იზომება სტუდენტთა შედეგებით, ისინი დგებიან სირთულის წინაშე, რაც გულისხმობს სკოლის რესტრუქტურიზაციას, რამაც შესაძლებელია გამოიწვიოს მასწავლებლების და დირექტორების შემცირება. რაც შეეხება ჯილდოს, NCLB პირდება სკოლებსა და სკოლის მასწავლებლებს მაღალი მიღწევების შემდეგ ფულადი პრემიების მიღებას, რასაც განსაზღვრავს ტესტირების შედეგები. ანალოგიურად, პოლიტიკის შემქმნელები გარკვეულ შტატებში თავიანთ ფინანსურ სტიმულებს და მიღწევის საჯარო აღიარებას აკისრებენ მასწავლებლებსა და დირექტორებს. გამოცდების შედეგები ყოველთვის იწერება გაზეთებში და რეგულარულად აწვდის ინფორმაციას საგამოცდო მიღწევებზე ახლოს მდებარე სხვა სკოლებს. მოკლედ, ანგარიშვალდებულება ხდება სინონიმი საზოგადოების აზრის გამოსახატად. ასევე, ბევრ შტატში მოხდა ერთიანად ყურადღების გამახვილება მოსწავლეებზე, როგორც ანგარიშვანდებულების სისტემის სამიზნეზე. განათლების პოლიტიკის ცენტრის თანახმად, 50 შტატიდან ნახევრზე მეტში ამოქმედდა ან გააქტიურების პროცესშია, სავალდებულო სკოლის დამამთავრებელი გამოცდა. ასეთი გამოცდის მოთხოვნით, სახელმწიფო პოლიტიკის შემმუშავებლები მოსთხოვენ მოსწავლეებს ანგარიშვალდებულებას რათა აჩვენონ, რომ ისინი სახელმწიფო სტანდარტებს აკმაყოფილებენ. ტესტირების მომხრეები ამტკიცებენ, რომ მოსწავლეები უფრო და უფრო მეტს მუშაობენ და ამით მეტს სწავლობენ, რადგან მათ იციან რომ მათი

დიპლომი დამოკიდებულია ამ გამოცდებზე. საბოლოოდ სკოლებს შორის მწვავე აცენტი კეთდება დირექტორებზე, მასწავლებლებსა და მოსწავლეებზე, რომლებიც არიან პოლიტიკის შემქმნელები და პასუხისმგებელნი არიან პირველ რიგში განთლების პოლიტიკის მანდატით. მიუხედავად იმისა, რომ სტანდარტების და ანგარიშვალდებულებების განტოლება პირდაპირი ცვლადია, პოლიტიკის შემქმნელები პასუხს აგებენ მიღებულ გადაწყვეტილებებზე. მოქალაქეებს შეუძლიათ ხმის მიცემა პოლიტიკური თანამდებობის დასაკავებლად. თუმცა, განათლების სახელმწიფო პოლიტიკასა და მათ დანიშვნაზე გადაწყვეტილებას იღებენ თავად პოლიტიკოსები. მიუხედავად იმისა, რომ ეს გამოცდები არის კრიტერიუმი რომლითაც სკოლები, დირექტორები, მასწავლებლები, სტუდენტები და სახელმწიფო პოლიტიკის შემქმნელებიც კი საჯაროდ განიხილება როგორც წარმატებად ან წარუმატებლად, ბევრმა ქვეყანამ უარი თქვა ამ საკითხის საჯარო განხილვაზე. იმ შტატებშიც კი, სადაც ტესტი ხელმისაწვდომია, ხშირად გაურკვეველია რამდენად არის დაცული შედეგები, განათლება, რომელიც საშუალებას მისცემს სტუდენტს აკადემიურად მიაღწიოს მაღალ დონეს. ბევრმა შტატმა მოითხოვა გამსვლელი გამოცდების დანიშვნა, მტკიცებულებათა წყარო მიიჩნევს, რომ საშუალო სკოლის კურსდამთავრებულები მზად არიან კოლეჯის აკადემიური გამოწვევებისთვის, თუმცა გამოცდა და დიპლომი ნამდვილად დიდი წარმატებაა. მაგალითად, მას შემდეგ რაც ტეხასმა დააწესა გამოცდები, მან დაინახა მისი კურსდამთავრებულთა პროცენტული მაჩვენებელი იმ მოსწავლეების, რომლებიც აგრძელებენ სწავლას კოლეჯში ან უნივერსიტეტში, ხოლო მასაჩუსეტსის საჯარო კოლეჯები კვლავ აფასებენ მოსწავლეების უნარებს დაბალ დონედ, რაც იყო გამოცდების დანიშვნამდე. ტესტი ადგენს აკმაყოფილებს თუ არაა მოსწავლე სახელმწიფო სტანდარტებს, რადგან ამ გამოცდის ჩაბარება აუცილებელია. ისმის კითხვა რამდენად აუცილებელია ამ გამოცდის ჩაბარება და თუ ეს მიღწევა არ არის ღრმა ცოდნის და აკადემიური წარმატების შედეგი? სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რომელი სტანდარტები ემთხვევა და იზომება, როგორიცაა მარტივად მისახვედრი საკითხები და ასევე სააზროვნო? გარდა ამისა, ბევრ შტატში/ქვეყანაში სადაც გამსვლელი გამოცდები სავალდებულოა, როგორც ეს გაზრდილი მტკიცებულებების

სახით ჩანს, საშუალო სკოლოს კურსდამთავრებულები (ვინც გამოცდები წარმატებით გაიარეს) კოლეჯის აკადემიური გამოწვევებისათვის არ არიან მზად, მიუხედავად ოფიციალური პირების დაჟინებული მოთხოვნისა, რომ გამოცდასთან ერთად, დიპლომი ნიშნავს რეალურ მიღწევას/წარმატებას, ზოგ შემთხვევაში ეს ასე არაა. მაგალითად, მას შემდეგ რაც ტეხასის შტატმა დააწესა დამამთავრებელი გამოცდები, გამოჩნდა რომ პროცენტული მაჩვენებელი იმ მოსწავლეების, რომლებიც აგრძელებენ სწავლას კოლეჯებში და უნივერსიტეტებში გაზრდილია. ხოლო მასაჩუსეტსის საჯარო კოლეჯებში კვლავ, დაუშვებლია დაბალი უნარ-ჩვევების მქონე მოსწავლეების მიღება, როგორც ეს სახელმწიფო დამამთავრებელ გამოცდების ძალაში შესვლამდე იყო. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო ტესტების შეფასებასას ადგენს აკმაყოფილებს თუ არა მოსწავლე სახელმწიფო სტანდარტებს, მიღწევა/წარმატება ავტომატურად არ აისახება სიღრმისეულ სწავლასა და შემდგომ აკადემიურ წარმატებაზე? სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რომელი სტანდარტები აკმაყოფილებს და ზომავს, ისინი რომლებიც საჭიროებენ უბრალო დაზეპირებას თუ ისინი რომლებიც საჭიროებენ კომპლექსურ აზროვნებას? ამაზე პასუხი ცხადია, თუმცა დაზუსტებას და დანერგვას საჭიროებს. საჯარო ანგარიშვალდებულება და გამჭვირვალობა მნიშვნელოვანია ნიუ-იორკის შესრულების სტანდარტების კონსორციუმისთვის, კოალიცია 28 პატარა, მრავალმხრივი საჯარო სკოლები ნიუ-იორკში, რომელიც ეფუძნება სასკოლო-საზოგადოების ძლიერ მხარეებს, განათლების რეფორმას, მიმდინარე პროფესიულ განვითარებას, ინოვაციურ სასწავლო გეგმას (კურიკულუმს) და სწავლების სტრატეგიებს. აღიარებენ, რომ მათი მოსწავლეები კარგად სწავლობენ, აქტიურად არიან ჩართულები. კონსორციუმის ტიპის სკოლები გამოკითხვისას იყენებენ დისკუსიის მეთოდს, დავალების პროექტებს და მოსწავლის არჩევანზე არიან ორიენტირებულები. კონსორციუმის სკოლები უზრუნველყოფენ სტუდენტების სწავლის კომპლექსურ მეთოდებს, სტუდენტების ცოდნის შესაფასებლად ყველა სტუდენტისთვის საჭიროა 4 სპეციფიკური ამოცანა - ანალიტიკური ლიტერატურული ნაშრომი, სოციალური კვლევითი ნაშრომი, ორიგინალური მეცნიერების ექსპერიმენტი და უმაღლესი მათემატიკა. ამ შეფასების ამოცანები, რომლებიც ფასდება დეტალურად მასწავლებლის მიერ, ასევე

ანგარიშვალდებულებები, გარე შემფასებლების მიერ წარმოადგენს კონსორციუმის შეფასების სისტემის ძირითად ნაწილს. ამ სისტემას მუდმივად ზედამხედველობს საგანმანათლებლო ექსპერტთა ჯგუფი, რომელიც ცნობილია, როგორც ეფექტიანობის შეფასების განხილვის საბჭოს სახელით. (Phi Delta Kappan, 2007).

2. კვლევის მეთოდოლოგია

როგორც შესავალ ნაწილში აღვნიშნე, კვლევაში გამოყენებულია თვისებრივი მეთოდი. თვისებრივი კვლევა, როგორც მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის მეთოდი გამომდინარეობს ვერსტეჰენის ტრადიციიდან. (კვლევის მეთოდები სოციოლოგიურ მეცნიერებებში, ჩავა ფრანკფორტ და დევიდ ნაჩმიასი გვ. 397) კვლევის მხოლოდ ეს მეთოდი გვაძლევს საშუალებას, შევისწავლოთ ამა თუ იმ მოვლენის მიზეზები; ვუპასუხოთ არა კითხვებს „რა?“, „რამდენი?“ არამედ კითხვებს „რატომ?“, „როგორ?“ (ზურაბიშვილი, 2006 გვ.7).

კვლევის ფარგლებში ჩატარდა ჩაღრმავებული ინტერვიუ სხვადასხვა სკოლის მოსწავლეებთან და მშობლებთან. ჩაღრმავებული ინტერვიუ „ღია კითხვებზე“ დაყრდნობით წარიმართა, რაც ნიშნავს, რომ მკვლევარი რესპონდენტს არ სთავაზობს სავარაუდო პასუხებს. თვისებრივი მთოდი მნიშვნელოვანია ისეთ თემებზე სამუშაოდ, რომლებიც ნაკლებად არის შესწავლილი და იგი გვაძლევს საშუალებას პრობლების სიღრმისეულად გაგებაში. (ზურაბიშვილი, 2006).

ეს მოსაზრება მთლიანად მოიცავს აღნიშნულ საკითხს, რადგან ხშირ შემთხვევაში მოსწავლეების და მშობლების დამოკიდებულება საგაკვეთილო სისტემასთან, თუნდაც გამოცდებთან მიმართებაში ნაკლებად საინტერესოა. ვფიქრობ, უპირველეს ყოვლისა, მათი აზრი და დამოკიდებულებაა მნიშვნელოვანი, რადგან ისინი არიან პირველწყარო ინფორმაციის მიღების, გამოცდის ჩაბარების და ა.შ.

კვლევის ფარგლებში ინტერვიუები ჩატარდა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით. თვისებრივი მეთოდების ერთ-ერთი უმთავრესი ღირსება ისაა, რომ ეს მეთოდი საშუალებას გვაძლევს, დავინახოთ და აღვწეროთ სამყარო კვლევის ობიექტების თვალით. ვინაიდან თვისებრივი მეთოდებით მუშაობისას მკვლევარის მიზანია ინდივიდუალური საქციელის გაგება (ზურაბიშვილი, 2006 გვ. 7).

არსებული რეალობიდან გამომდინარე, ჩემთვის განსაკუთრებით საინტერესოა იმის დადგენა, თუ რა დამოკიდებულება აქვთ მშობლებს და მოსწავლეებს საატესტატო გამოცდების გაუქმებასთან დაკავშირებით. უფრო კონკრეტულად კი გვანიტერესებს,

შესაძლებელია თუ არა გამოცდების გაუქმებამ დადებითი ან უარყოფითი გავლენა იქონიოს სასწავლო პროცესის ხარისხზე.

კვლევის დროს გამოვიყენე ჩემ მიერ შედგენილი გეგმა, რომელმაც საშუალება მოგვცა კვლევისთვის მიმართულების მისაცემად. რესპონდენტებს დავუსვი 25 შეკითხვა, რომელიც თემატიკის მიხედვით იყო დალაგებული: სკოლის მისია და მიზნები; საატესტატო გამოცდები, როგორც ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი; საატესტატო გამოცდები და რეპეტიტორის ინსტიტუტი; დამოკიდებულებები საატესტატო გამოცდების შეცვლასთან დაკავშირებით. კვლევის ფარგლებში ასევე ჩატარდა არსებული კვლევების სიღრმისეული ანალიზი. კვლევა ჩატარდა თბილისსა და რაიონებში, რათა შევადაროთ სოფლის და ქალაქის მოსწავლეთა და მშობელთა დამოკიდებულებები ერთმანეთს.

2.1. კვლევის ლიმიტები, დაბრკოლებები და რისკები

კვლევა გარკვეულწილად ლიმიტირებულია, რადგან ის მხოლოდ თბილისის და რაიონის რამდენიმე სკოლაში ჩატარდა, შესაბამისად მისი განზოგადება მთლიანად საქართველოზე შეუძლებელია, რასაც კვლევის შედეგებიც ადასტურებს.

ამასთან მისი შეზღუდვა იმაშიც მდომარეობს, რომ იგი მხოლოდ თბილისის და რაიონის 3 საჯარო სკოლაში ჩატარდა და თითოეულიი სკოლიდან გამოკითხული რესპონდენტი არის ერთი ან რამდენიმე შემთხვევაში ორი.

რისკებში, რომელსაც კვლევის პროცესში წავაწყდით იყო ნაკლები ინტერესი საკითხის მიმართ, როგორც მოსწავლეების, ასევე მშობლების მხრიდან. თავდაპირველად ფიქრობნენ რომ კითხვები პასუხებით იყო, რომელსაც მარტივად უპასუხებდნენ, ხოლო როდესაც იგებდნენ რომ კითხვებზე ვრცელი პასუხი უნდა გაეცათ საუბარი ეზარებოდათ.

მიუხედავად აღნიშნულისა, კვლევით შესაძლებელი გახდა ძირითადი პრობლემის გამოკვეთა და ვფიქრობ, რომ საინტერესო და უფრო ღრმად შესასწავლი საკითხია.

3. კვლევის შედეგები

3.1. სკოლის მისია და მიზნები

იმისათვის, რომ უფრო სიღრმისეულად შემესწავლა პრობლემა, რომელიც საატესტატო გამოცდების დანერგვით და შემდეგ გაუქმებით არის გამოწვეული, წინამდებარე კვლევის ფარგლებში გამოიკითხა 10 მშობელი და 15 მოსწავლე. ჩემი ინტერესის საგანს წარმოადგენდა დაგვედგინა მოსწავლეების და მშობლების დამოკიდებულება საატესტატო გამოცდების გაუქმებასთან დაკავშირებით და სიღრმისეულად გაგვეანალიზებინა გამოკითხული რესპონდენტების დამოკიდებულება საგამოცდო რეფორმასთან დაკავშირებით. მნიშვნელოვნად იქნა მიჩნეული უპირველესად დაგვედგინა რესპონდენტების მოსაზრებები და ხედვები ზოგადად სკოლის მისიასთან და მიზნებთან მიმართებით. შეკითხვაზე თუ რა არის ზოგადი განათლების მიზნები, მშობლებს და მოსწავლეებს განსხვავებული მოსაზრება გააჩნია. მშობლებისთვის ზოგადი განათლების მიზანი არის აუმაღლოს მოსწვლეებს ქვეყნის

ინტერესების, ტრადიციების და ღირებულებების მიმართ პასუხისმგებლობა, აღზარდოს მოსწავლეები ღირსეულ მოქალაქეებად, ერთ-ერთი მშობელი აღნიშნავს - „სკოლის მიზანია აღზარდოს და განავითაროს მომავალი თაობა“, ხოლო მოსწავლეები მიიჩნევენ, რომ ზოგადი განათლების მიზნებია მისცეს მათ განათლება, განუვითაროს ცხოვრებისეული უნარ-ჩვევები და ხელი შეუწყოს მათ სრულყოფილ ინდივიდად ჩამოყალიბებაში. ერთ-ერთი მოსწავლე აღნიშნავს - **„ჩემთვის ზოგადი განათლება დამოუკიდებლობის და თვითრეალიზებისკენ სწრაფვა არის. ასევე არ უნდა დავივიწყოთ რომ ზოგადი განათლება გვეხმარება უკეთს მოქალაქეებად ჩამოყალიბებაში სწორედ ის გვააზრებინებს ქვეყნის მიმართ საკუთარ პასუხისმგებლობას“.** რაც შეეხება სკოლის დანიშნულებას და მოლოდინებს, რომელიც სკოლამ ბავშვს უნდა მისცეს მოსწავლეების და მშობლების აზრი სრულად ემთხვევა ერთმანეთს. სკოლა მათ მოლოდინს ვერ ამართლებს, გამოკითხულთა მხოლოდ მცირე ნაწილი აცხადებს, რომ სკოლა მათ მოლოდინს 90%-ით ამართლებს, გამოკითხული მშობელი აღნიშნავს - „როდესაც ბავშვს უწევს ყველა საგანში მომზადება ატესტატის ასაღებად ნამდვილად ზედმეტია მოლოდინებზე და ამ მოლოდინის გამართლებაზე საუბარი“. რაც შეეხება სკოლის დანიშნულებას, ისინი მიიჩნევენ, რომ სკოლამ უნდა მოემზადოს უფრო მაღალი საფეხურებისთვის (მაგ: კოლეჯი, უმაღლესი სასწავლებელი), იყვნენ დამოუკიდებლები და თავისუფლად უნდა შეეძლოთ სწორი, ლოგიკური და არგუმენტირებული აზროვნება. ერთ-ერთი მოსწავლე აცხადეს - **„ჩემი აზრით პრიორიტეტული მაინც ბავშვის აღზრდა და პიროვნებად ჩამოყალიბებაა, სწორედ ამისთვის კი საჭიროა ბავშვს გაცნობიერებული ჰქონდეს საზოგადოების მნიშვნელობა, მოქალაქეობრივი ვალდებულებები და მისი ქვეყნის ისტორია (მაგრამ „მარტო წვრთნა რას იზამს, თუ ბუნებამც არ უშველა?“).** აუცილებელია ბავშვს შეეძლოს სწორი, ლოგიკური და არგუმენტირებული მსჯელობაც და აზროვნებაც, ყოველივე ეს კი მიიღწევა ტექნიკური საგნების სწავლებით, სწორედ ისინი ახდენენ ანალიტიკური მხედველობის გაუმჯობესებას. ვთვლი, რომ სკოლამ უნდა მოგვამზადოს უფრო მაღალი საფეხურებისთვის და გვაპოვნინოს ჩვენი სამომავლო ინტერესი“. მშობლის მოსაზრება კი შემდეგნაირად ჩამოყალიბდა - „სკოლიდან ბავშვმა არა მარტო საგნობრივი

განათლება და ცოდნა უნდა მიიღოს, არამედ საფუძველი უნდა ჩაუყაროს, რომ მოსწავლეები საზოგადოების სრულფასოვან წევრებად ჩამოყალიბდნენ“.

3.2. საატესტატო გამოცდები, როგორც ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი

მნიშვნელოვანია საატესტატო გამოცდების განხილვა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის კონტექსტში. კვლევისას გამოკვეთა ბევრი განსხვავებული და საინტერესო საკითხი. პირველ რიგში მნიშვნელოვანი იყო იმის დადგენა თუ რა ინფორმაციას ფლობდნენ მშობლები და მოსწავლეები საატესტატო გამოცდების დანერგვასთან დაკავშირებით, თუ რა მიზანს ემსახურებოდა ამ ტიპის გამოცდის დანერგვა საქართველოში. შინაარსობრივად მშობლების და მოსწავლეების აზრები ერთმანეთის მსგავსია. გამოკითხულ მოსწავლეთა უმრავლესობა ფიქრობს, რომ საატესტატო გამოცდების მიზანი იყო მოსწავლეებისთვის იმ ცოდნის შემოწმება, რასაც 12 წლის განმავლობაში იღებენ. **„საატესტატო გამოცდების დანერგვა უზრუნველყოფდა მოსწავლეთათვის სკოლაში მეტად გააქტიურებას თითოეულ საგანში, რადგან ამ გამოცდების დანერგვამდე, ისინი სრულიად უგულებელყოფდნენ ზოგიერთ საგნებს, რაც იწვევდა მინიმალური კომპეტენციის არ ქონას გარკვეულ საგნებში“.** ერთ-ერთი მშობელი კი აღნიშნავს - „გამოცდა ზოგადად მიღებული ცოდნის გამჟღავნებას ემსახურება, სწორედ ეს იყო საატესტატო გამოცდების მიზანი დაენახათ სკოლების დონე

და რეალური დონე მოსწავლეების“. საზოგადოებაში აზრთა სხვადასხაობა დღემდე არის იმ საკითხზე, თუ რამდენად ამოწმებდა საატესტატო გამოცდები მოსწავლეების რეალურ ცოდნას, ზემოხსენებულ საკითხზე მშობლები და მოსწავლეები ცალსახად მხოლოდ ერთ პასუხს ასახელებენ, რომ მსგავსი ტიპის საგამოცდო მეთოდით შეუძლებელია სიღრმისეულ ცოდნაზე ლაპარაკი, თუმცა ერთ-ერთი მოსწავლის მხრიდან გამოითქვა მოსაზრება, რომ არსებული მეთოდი მხოლოდ დახვეწას საჭიროებს. ერთ-ერთი სკოლის მოსწავლე აცხადებს - „ეს გამოცდები საერთოდ არაფერს არ ამბობდა, ეს გამოცდა იმის ინდიკატორიც არ იყო კარგი შედეგები გვაქვს თუ არა სკოლაში, ჩვენ ერთადერთი ვიცოდით რომ ამ გამოცდებისთვის უნდა მოვმზადებულიყავით“. აღნიშნულ საკითხზე მშობელი, რომელიც ამავე დროს სკოლის მასწავლებელიც არის აღნიშნავს - „საქართველოში მოქმედი საატესტატო გამოცდები არ პასუხობდა ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მიზნებს, შესაბამისად მოსწავლის ცოდნის განსაზღვრა არ ხდებოდა სწორად. აქედან გამომდინარე ვფიქრობ რომ ასეთი ტიპის გამოცდებით მოსწავლის ცოდნა ვერ გამოვლინდება, ტესტური დავალება ვერ მოგვცემს შედეგს, რადგან სავსებით შესაძლებელია მოსწავლემ შემთხვევითობის პრინციპით გასცეს კითხვას პასუხი“. გერმანიაში გამოკითხული მოსწავლეები იდენტურად პასუხობენ მოსწავლეები, რომლებიც მაღალი აკადემიური მოსწრებით გამოირჩევიან არ აქვთ არანაირი წახალისება და არ გამოირჩევიან იმ მოსწავლეებისგან, რომლებიც დაბალი აკადემიური მოსწრების მოსწავლეები არიან, სავარაუდოდ ეს განპირობებულია მასწავლებლების დამოკიდებულებით. შეკითხვაზე თუ რამდენადა ახდენს გავლენას ამგვარი გამოცდების არსებობა მოსწავლეთა საგაკვეთილო პროცესში ჩართულობის მშობელებს და მოსწავლეებს განსხვავებული ხედვა აქვთ, მოსწავლეები მიიჩნევენ, რომ ამგვარი გამოცდების არსებობა მოსწავლეთა საგაკვეთილო პროცესში ჩართულობის ხარისხზე დიდ გავლენას ახდენს, რადგან როგორც თვითონ აცხადებენ ორიენტირებულები არიან იმ საგნებზე რასაც აბარებენ. ერთ-ერთ მოსწავლეს არგუმენტად მოყავს შემდეგი - „ნამდვილად ახდენს, რადგანაც ჩვენთვის უინტერესო საგნების სწავლა გვიწევდა გამოცდის გამო. ვთვლი, რომ მოსწავლეების ინტერესი მხოლოდ გამოცდებზე არ უნდა იყოს დამოკიდებული და მათი

დაინტერსება უფრო სწორად შერჩეული გზებით უნდა ხდებოდეს“. რაც შეხება მშობლების განსხვავებულ აზრს ისინი აღნიშნავენ, რომ გამოცდების არსებობა მოსწავლეების საგაკვეთილო პროცესში ჩართულობის ხარისხზე გავლენას ვერ ახდენდა, რადგან ის მოსწავლეები, რომლებიც ისედაც აქტიურად იყვნენ ჩართულები იგივეს აგრძელებენ გამოცდის მერეც, ხოლო ნაკლებად აქტიური მოსწავლეები ორიენტირებას აკეთებენ რეპეტიტორზე, შესაბამისად საგაკვეთილო პროცესი ინტერესს არ იწვევს. გამოკითხული მშობლის არგუმენტი მდგომარეობს შემდეგში: **„საქართველოში მოქმედი საატესტატო გამოცდები არ პასუხობდა ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მიზნებს, შესაბამისად მოსწავლის ცოდნის განსაზღვრა არ ხდებოდა სწორად. აქედან გამომდინარე ვფიქრობ რომ ასეთი ტიპის გამოცდებით მოსწავლის ცოდნა ვერ გამოვლინდება, ტესტური დავალება ვერ მოგვცემს შედეგს, რადგან სავსებით შესაძლებელია მოსწავლემ შემთხვევითობის პრინციპით გასცეს კითხვას პასუხი“.**

საინტერესო საკითხი იყო შეცვალა თუ არა საატესატო გამოცდებმა მასწავლებელთა საგაკვეთილო მიზნები და მეთოდები და იყო თუ არა სკოლა ორიენტირებული რათა მოემზადებინა მოსწავლეები გამოცდებისთვის. უმრავლესობა მშობლების და მოსწავლეების აზრი ერთმანეთს დაემთხვა და მიიჩნევენ, რომ საატესტატო გამოცდებმა მასწავლებელთა საგაკვეთილო მიზნები შეცვალა, ისინი ორიენტირებულნი იყვნენ საგამოცდო პროგრამაზე, გაეზარდა მოტივაცია, როგორც მასწავლებლებს, ასევე მოსწავლეებს. მოსწავლეთა მცირე ნაწილი კი აცხადებს რომ არაფერი შეცვლილა. „საატესტატო გამოცდებს მასწავლებელთა მიზნები არ შეუცვლია, ერთადერთი გამოცდების პერიოდში ისინი ცდილობდნენ, სხვა მოსწავლეების მიერ გამოცდიდან გამოტანილ კითხვებზე ემეცადინებინათ სუსტი ბავშვები, რათა მინიმალური კომპეტენციის ზღვარი გადაელახათ. ვფიქრობ, რომ მცირედი ცვლილება გამოიწვია მხოლოდ ამ გამოცდებმა“.

კვლევის პროცესში საკითხი თემატურად შეეხო შემდეგს თუ რამდენად უზრუნველყოფს მოსწავლეთათვის არსებული სასკოლო განათლების სისტემა გამოცდების

ჩასაბარებლად საჭირო ცოდნის კონსტრუირებასა და ხარისხიანი განათლების მიცემას. ზემოხსენებულ საკითხზე გამოკითხულ მოსწავლეთა და მშობელთა უმრავლესობის აზრი ერთმანეთს დაემთხვა და მიიჩნევენ, რომ არსებული სასკოლო განათლების სისტემა ვერ უზრუნველყოფს გამოცდების ჩასაბარებლად საჭირო ცოდნის კონსტრუირებასა და ხარისხიანი განათლების მიცემას. ცოდნა, რომლესაც ისინი იღებენ არის ზედაპირული, დროებით და არა ღრმა და მუდმივი, ისინი ორიენტირებულები არიან მხოლოდ ზღვარის გადალახვაზე, ხშირად მასწავლებლებმა არ იციან თუ რას ასწავლიან და ამის გამო ძირითად შემთხვევაში აუცილებელია რეპეტიტორებთან მომზადება, თუმცა მოსწავლეთა მცირე ნაწილი კმაყოფილია არსებული სასკოლო სისტემით. მოსწავლეთა ნაწილი საუბრობს, რომ გამოცდები გარკვეულწილად აიძულებდა მათ, რომ ესწავლათ და ცოდნა მიეღოთ. მოსწავლე აცხადებს - „საატესტატო გამოცდები მოსწავლისთვის ხარისხიანი ცოდნის მიღების გარანტი ნამდვილად არ არის, რადგან მოსწავლე ორიენტირებულია იმაზე რომ ზღვარი გადალახოს და ამისთვის უხდება ნერვიულობის ფონზე მეცადინეობა, რაც შედეგს არ გამოიღებს მოსწავლისთვის“. მშობლების აზრი ცალსახა და ნათელია. ისინი მიიჩნევენ, რომ დაბალი იყო მოსწავლეთა დასწრება, ვერ ხდებოდა მოსწავლეების ჩართვა საგაკვეთილო პროცესში, იგი ფაქტობრივ ცოდნაზეა ორიენტირებული, რასაც ხარისხიანი განათლება ვერ დაერქმევა. აღნიშნავენ - „საატესტატო გამოცდები არ ნიშნავს ხარისხიან განათლებას შესაბამისად მოსწავლეები ორიენტირებულები იყვნენ გამოცდის ჩაბარებასა და ატესტატის აღებაზე, ვიდრე ხარისხიან განათლებაზე, ბევრი მათგანი სკოლაში არც დადიოდა და საგაკეთილო საათებს რეპეტიტორთან ატარებდა“.

3.3. საატესტატო გამოცდები და რეპეტიოტორობის ინსტიტუტი

გამოკითხული მშობლების და მოსწავლეების პასუხების მიხედვით თავისთავად მოხდა რეპეტიტორის ინსტიტუტზე საუბარი, რაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თემაა კვლევის პროცესში. შეკითხვაზე თუ რამდენად უწყობდა ხელს საატესტატო გამოცდები რეპეტიტორის ინსტიტუტის განვითარებას საქართველოში მშობლების და

მოსწავლეების 100% აცხადებს, რომ საატესტატო გამოცდები ხელს უწყობდა რეპეტიტორის ინსტიტუტის განვითარებას, მიზეზი კი ის იყო, რომ მოსწავლეთა უმეტესობა საბუნებისმეტყველო საგნებს სკოლაში ითვისებდა, რადგან სკოლა ვერ უზრუნველყოფდა გამოცდებისთვის საკამრისი განათლების მიცემას. მოსწავლე აღნიშნავს - „რეპეტიტორთა ინსტიტუტი საატესტატო გამოცდებამდეც არსებობდა და ამ გამოცდების შემდეგაც აქტიურად მოქმედებს, რადგან მოსწავლეთა უმეტესობა საბუნებისმეტყველო საგნებს სკოლაში არ სწავლობდა და შესაბამისად ისინი თითქმის ერთი წლის განმავლობაში ემზადებოდნენ კერძოდ, ამას გარდა ეროვნული გამოცდების ჩასაბარებლად კერძო მასწავლებელი აუცილებელია, რადგან სკოლის ცოდნით ამ გამოცდების ჩაბარება თითქმის შეუძლებელია“. გამოკითხული ერთ-ერთი მშობელი კი აცხადებს - „მხოლოდ ფაქტობრივი მასალის ათვისებაზე ორიენტირება მოსწავლეს ვერ უვითარებს ანალიზის, სინთეზის და შეფასების უნარს , შესაბამისად ეს იწვევს რეპეტიტორის ინსტიტუტის განვითარებას“. კვლევის პროცესში იკვეთება და ამას მშობლები და მოსწავლეებიც აღიარებენ, რომ მოსწავლეთა 90% საატესტატო გამოცდების ჩასაბარებლად ემზადებოდა. 21-ე საუკუნეში ალბათ იშვიათობას წარმოადგენს მასწავლებლების მხრიდან იძულებით მომზადება მოსწავლეების თუმცა შეკითხვაზე თუ რამდენად ხშირია შემთხვევები, როცა მასწავლებლები გაიძულებთ მათთან მომზადებას სასკოლო ნიშნის მისაღბად, თუ მასწავლებელთან მომზადება მხოლოდ საატესტატო გამოცდებში ნიშნის მისაღებად და ატესტატის ასაღებად ხდება. მშობლების და მოსწავლეების აზრი იდენტურია და აღნიშნავენ, რომ მათ სკოლაში მსგავსი შემთხვევა არ ყოფილა, თუმცა მათ გარშემო რამდენიმე მაგალითი არსებობს მსგავსი ქმედების, რაც შეეხება მომზდების მიზეზს ისინი ასახელებენ, რომ მათთვის მთავარია ბარიერის გადალახვა და ატესტატის აღება. „მგონი, რომ ასეთი რაღაცები საერთოდ აღარ ხდება (შესაძლოა იყოს ასეთი შემთხვევები მაგრამ მხოლოდ ერთეულები) და მოსწავლეების დამოკიდებულებაც შეიცვალა მასწავლებლების და ზოგადად განათლების მიმართ , ისინი მხოლოდ ნიშნისთვის და ატესტატისთის არ სწავლობენ . ნუ რათქმაუნდა არიან ბავშვებიც რომელთვისაც პრიორიტეტული არ არის სწავლა და ორიენტირებულნი არიან მხოლოდ სკოლის დამთავრებაზე (და მაინც

ვფიქრობ რომ მათი რაოდენობა ძალიან მცირეა) მაგრამ აქ პედაგოგს ვერაფერში დავადანაშაულებდი. კარგი მასწავლებელი ყველანაირად ცდილობს მოსწავლე დააინტერესოს და მიაწოდოს მაქსიმალური ინფორმაცია, ცდილობენ საშუალო დონეზე მაინც აუმაღლონ განათლების დონე მოსწავლეებს რომლებსაც არ აინტერესებთ და, ვთვლი რომ მათი შრომა დასაფასებელია. სწორედ ასეთ მოსწავლეებს სჭირდებათ შემდეგ დამატებითი რეპეტიტორების შეძენა ან კიდევ მათ რომლებსაც საკუთარ თავში დარწმუნება სწირდებათ“ -აცხადებს მოსწავლე. მშობელი აღნიშნავს - „პირადად ჩემ შვილს ასეთი რამ არ შემთხვევია მაგრამ გამიგია ეგეთი შემთხვევები“.

კვლევის ფარგლებში ასევე მნიშვნელოვანი იყო იმის დადგენა თუ რამდენად იღებდნენ მოსწავლეები რეალურ ცოდნას რეპეტოტორთან საატესტატო გამოცდებისთვის მომზადებისთვის, რაც ცხოვრებაში გამოგადგებათ. აღნიშნულ საკითხზე, როგორც მშობლების პასუხებში იკვეთება აზრთა სხვადასხვაობა, ასევე განსხვავებული მოსაზრებები აქვთ მოსწავლეებს. თუმცა გამოკითხულთა უმეტესობას რეპეტიტორთან მომზადება უმარტივდება, რადგან იღებენ სიღრმისეულ ცოდნას, ნაწილი ადასტურებს რომ ეს ცოდნა ცხოვრებაში გამოადგება, ნაწილი კი ამბობს რომ ეგ ცოდნა მხოლოდ გამოცდების ჩასაბარებლად და ატესტატის ასაღებად გამოადგება. მოსწავლეთა ნაწილი ასევე აღნიშნავს, რომ პროგრამა და ინფორმაცია ერთია, მხოლოდ ახსნის სტილი განსხვავდება, რომელიც მოსწავლეებისთვის სკოლის მასწავლებელთან შედარებით შესაძლოა უფრო მისაღები იყოს. „რეპეტიტორთან (რეპეტიტორსაც გააჩნია) ვიღებთ იმ ცოდნას რაც დაგვხმარება გამოცდების წარმატებით ჩაბარებაში, ხოლო გამოცდის წარმატებით ჩაბარება ჩემ კარიერულ და შესაბამისად სამომავლო ცხოვრებაზე კარგად აისახება“. მშობლების მოსაზრება განსხვავებულია და მიანიათ, რომ რეალური ცოდნის მიღება მოკლე პერიოდში შეუძლებელია, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მოსწავლეს არაფერი უკეთებია. მიღებული ცოდნა ემსახურება, მხოლოდ გამოცდის ჩაბარებას, თუმცა არიან გამონაკლისი ბავშვები, რომლებიც რეპეტიტორთან იღებენ სიღრმისეულ ცოდნას, რაც ცხოვრებაში გამოადგებათ. „კიდევ გავმეორდები და აღვნიშნავ, რომ ეს ყველაფერი ემსახურებოდა მხოლოდ გამოცდების ჩაბარებას, ცოდნას და ამ ცოდნის მომავალში გამოყენებას ნაკლებად“.

მოსწავლეებისთვის ერთ-ერთი მძიმე საკითხი არის სოციალური მდგომარეობა, რაც ხშირად იწვევს დაბალი სოციალური ოჯახების შვილების დაჩაგვრას. კვლევის ფარგლებში შეკითხვა მდგომარეობდა შემდეგში თუ რამდენად თანაბარ მდგომარეობაში არიან მოსწავლეები, რადგან ყველას არ აქვს საშუალება საატესტატო გამოცდებისთვის მოსამზადებლად და განაპირობებს თუ არა ოჯახების სოციალური მდგომარეობა საატესტატო გამოცდებში წარმატებას, გამოცდებში ხომ არ იჭრებოდნენ ის მოსწავლეები, ვინ რეპეტიტორთან სიარულს ვერ ახერხებდა. მშობლების და მოსწავლეების აზრი ორად გაიყო: პირველი ნაწილი მიიჩნევს, რომ ყველა თანაბარ მდგომარეობაშია და ყველას შეუძლია გამოცდის ჩაბარება, მეორე ნაწილი ფიქრობს, რომ მოსწავლე მომზადების გარეშე ვერ ჩააბარებს გამოცდას და სოციალურად დაბალი სტატუსის მოსწავლეები იჩაგრებიან. „ვთვლი რომ სკოლაში, თანაბარ მდგომარეობაში, ყველას ერთნაირად შეუძლია მიიღოს საატესტატო გამოცდებისათვის საჭირო მასალა და ინფორმაცია და ამისთვის სულაც არაა საჭირო ემზადებოდე რეპეტიტორთან“. ერთ-ერთი მშობელი აღნიშნავს - „ვფიქრობ თუ მოსწავლე მონდომებულია სკოლის ცოდნით შეუძლია როგორც საატესტატო გამოცდის ჩაბარება, ასევე ეროვნულის, ეს მის მონდომებაზეა დამოკიდებული“. საბოლოოდ მშობლების და მოსწავლეების აზრი ერთმანეთს ემთხვევა. რეპეტიტორის შეუცვლელი ინსტიტუტი ყოველთვის არსებობდა, მაგრამ მასაც აქვს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარე, შეკითხვაზე თუ რა არის რეპეტიტორის ინსტიტუტის დადებითი და უარყოფითი მხარეები მშობლების უმრავლესობა პირველ რიგში უარყოფით მხარეზე საუბრობს და ეს არის თანხა, რასაც შვილის მომზადების პროცესში იხდიან, თუმცა მშობლების მცირე რაოდენობა მის დადებით მხარედ ასახელებს ცოდნას, რომელსაც მოსწავლე იღებს რეპეტიტორთან. „დადებითი ისაა რომ მოსწავლეს განუმტკიცოს სკოლაში მიღებული ცოდნა, უარყოფითი კიდე ისაა რომ უფულობის გამო ყველა ვერ ახერხებს მომზადებას“. რაც შეეხება მოსწავლეებს, მათი მოსაზრებაც მშობლებისას ემთხვევა, თუმცა მათთვის დადებითი მხარე უპირველესია და ასახელებენ, რომ იღებენ ხარისხიან განათლებას და ბევრ ახალ ინფორმაციას, ხოლო უარყოფითი მხარე არის თანხა, რასაც იხდიან მომზადების პერიოდში. გამოკითხული მოსწავლე ამბობს - „დადებითი

მხარე ისაა რომ გეხმარება კონკრეტული საგნის თავმოყრაში. უარყოფითად კი შეიძლება ჩაითვალოს ის საკითხი, რომ მომზადებაში დიდი თანხას ხარჯავს ოჯახი“. შეკითხვაზე საატესტატო გამოცდების გაუქმება გამოიწვევს თუ არა რეპეტიტორების ინსტიტუტის დასუსტებას და იმოქმედებს თუ არა დადებითად ოჯახის ხარჯების შემცირებაზე, გამოკითხულ მშობელთა და მოსწავლეთა 100% დადებითად აფასებს საატესტატო გამოცდების გაუქმებას, რადგან იგი დადებითად აისახება ოჯახის ხარჯებზე, თუმცა ასუსტებს რეპეტიტორთა ინსტიტუტს. „რა თქმა უნდა სასკოლო საგნებში ვინც ემზადებოდა მათ აღარ ეყოლებათ მოსწავლეები, ოჯხის ხარჯიც შემცირდება და მოვემზადებით მხოლოდ იმ საგნებში, რომლებიც უნდა ჩავაბაროთ“.

3.4. დამოკიდებულებები საატესტატო გამოცდების შეცვლასთან დაკავშირებით

საატესტატო გამოცდების გაუქმებამ საზოგადოების აზრი ორ ნაწილად გაყო, საზოგადოების ნაწილი დადებითად შეხვდა ამ გადაწყვეტილებას თუმცა ნაწილი ამ რეფორმას უარყოფითად აფასებდა. კვლევის ფარგლებში მნიშველოვანი იყო გამეგო მოსწავლეების და მშობლების დამოკიდებულების გარკვევა საატესტატო გამოცდების გაუქმებასთან დაკავშირებით. შეკითხვაზე თუ რა დამოკიდებულება აქვთ საატესტატო გამოცდების გაუქმებასთან დაკავშირებით. აღნიშნულ საკითხს გამოკითხულ მოსწავლეთა 80% დადებითად აფასებს, მათი აზრით საატესტატო გამოცდები არანაირ შედეგს არ იძლეოდა, ისინი სწავლობდნენ იმისთვის, რომ გამოცდა ჩაებარებინათ და არა იმისთვის რომ განათლება მიეღოთ. მოსწავლეთა 20% აღნიშნავს, რომ საქართველოს ტიპის განვითარებად ქვეყანაში სადაც განათლების დონე არასახარბიელო მდგომარეობაშია, ვერანაირად ვერ იქნება გამართლებული რაიმე ტიპის გამოცდის მოხსნა, მითუმეტეს იმის ფონზე რომ განათლების რეფორმა სასწრაფო ცვლილებას საჭიროებს. „ვფიქრობ, რომ საატესტაო გამოცდები მოსწავლის რეალურ ცოდნას არ ამოწმებდა და ასეთი გამოცდების ჩასაბარებლად, როგორც სახელმწიფოს მხრიდან ასევე ოჯახებიდან დიდი თანხა იხარჯებოდა, მოსწავლეებს უწევდათ იმ საგნებში მომზადება, რომელიც მათთვის უინტერესო იყო და სამომავლოდ არაფერში გამოიყენებდნენ. შესაბამისად გამოცდების მოხსნას დადებითი და უარყოფითი მხარე მაინც აქვს დადებითი როგორც უკვე აღვნიშნე ის ხარჯები, რასაც ოჯახი ხარჯავდა,

ხოლო უარყოფითი ისაა, რომ ბავშვების ყურადღება მოდუნდა და თითქმის აღარაფერს აკეთეებენ სკოლაში". ხოლო მშობლების აზრი ორად გაიყო, ნაწილი მიიჩნევს, რომ გაუქმებით მოხდება მასწავლებლისა და მოსწავლის ურთიერთდამოკიდებულების აღდგენა, სკოლას დაუბრუნდება სრულფასოვანი პედაგოგი, ბავშვმა ზოგადი განათლება უნდა მიიღოს სკოლაში მასწავლებელთან და არა რეპეტიტორთან. ნაწილი კი აცხადებს, რომ ვფიქრობ არაფრისმომცემი გამოცდები უნდა გაუქმებულიყო, სავარაუდო პასუხებით ცოდნას ვერ გაიგებ, გამოცდები უნდა არსებობდეს, მაგრამ საგამოცდო მოდელი დახვეწას საჭიროებს. „ამ გაუქმებით ვფიქრობ რომ მოხდება მასწავლებლისა და მოსწავლის ურთიერთდამოკიდებულების აღდგენა, სკოლას დაუბრუნდება სრულფასოვანი პედაგოგი, ბავშვმა ზოგადი განათლება უნდა მიიღოს სკოლაში მასწავლებელთან და არა რეპეტიტორთან".

როგორც ხშირ შემთხვევაში ხდება, საზოგადოებამ არ იცის გარკვეული ცვლილების საფუძველი რა არის, შესაბამისად მნიშვნელოვანია ამის დადგენა. შეკითხვაზე რა საფუძვლები შეიძლება ჰქონოდა საატესტატო გამოცდების გაუქმების ინიციატივას გამოკითხულმა მოსწავლეებმა საატესტატო გამოცდების გაუქმების ინიციატივასთან დაკავშირებით განსხვავებული აზრები გამოთქვეს და აღნიშნავენ, რომ მიზეზად სახელდება ის რომ გამოცდებს არანაირი შედეგი არ ქონდა და ამ გამოცდებმა ვერ შეძლო ცოდნის ამაღლება მოსწავლეებში. გარკეული ნაწილი საუბრობს იმ სტრესზე, რაც გამოცდების პერიდში მათ ქონდათ, ასევე ნაწილს ამ კითხვაზე პასუხი არ გააჩნია. „მოსწავლეების ინტერესი იყო გამოცდების წარმატებით დაძლევა და არა ფართო განათლების მიღება ბოლო კლასებში ამიტომ კი ცხადია თუ თავის მიზნებს არ პასუხობს რაღაც ინსტრუმენტი და თან აფუჭებს სხვა მიზნებსაც ის ნამდვილად უნდა გაუქმდეს ეს იყო სამართლიანი".

ზემოხსენებულ კითხვაზე სრულიად განსხვავებული პასუხები დაფიქსირდა მშობელთა მხრიდან:

- სახელმწიფო მიხვდა რომ ტყუილად ხარჯავდა ფულს;

- საუძველი იყო ის შედეგი რასაც იღებდნენ გამოცდების ბოლოს, ათასობით ჩაჭრილი მოსწავლე და წლიდან-წლამდე ჩაჭრილი მოსწავლეების რაოდენობის ზრდა;
- შეუსაბამობა გამოცდებსა და რეალურ ცოდნას შორის.

გამოკითხულ მოსწავლეთა და მშობელთა აზრები მცირე სხვაობით, მაგრამ მაიც თანხვედრაშია. აუცილებელია იმის გარკვევა თუ რას შეცვლის საატესტატო გამოცდების გაუქმება ქართულ სასკოლო განათლების სისტემაში, გამოკითხული მოსწავლეების აზრი ორ ნაწილად გაიყო: ნაწილი მიიჩნევს, რომ გამოცდები ცუდ დროს მოიხნვა და არ უნდა მოხსნილიყო, რადგან მოსწავლეებმა შეამცირეს სწავლა და შედეგი მინიმუმადე დავიდა, ნაწილი კი ამ მოვლენას დადებითან აფასებს და მიიჩნევს, რომ ვისაც სწავლა უნდა ის გამოცდების გაუქმების მერეც აგრძელებს სწავლას. „ვთვლი რომ საატესტატო გამოცდების მოხსნა მაინც უდროო დროს მოხდა და საშუალო საფეხურზე გაცხრილვის შემდეგ უნდა მოხსნილიყო გამოცდები, ჩემი აზრით ბარიერს მაინც ყველა აღწევდა, ასე რომ ვთვლი არაფერი შეიცვლებოდა“. გამოკითხულთა მშობელთა უმრავლესობა ამბობს, რომ ამ ეტაპზე გამოცდების გაუქმება არაფერს შეცვლის, გარდა იმისა, რომ მოსწავლეები დაზოგავენ დროს და თანხას. საბოლოოდ კი უნდა გვარკვიოთ რა დადებითი და უარყოფითი მხარეები შეიძლება ჰქონდეს საატესტატო გამოცდების გაუქმებას? (განათლების ხარისხთან მიმართებით, სკოლის და მასწავლებლის როლსა და სტატუსთან მიმართებით, სასწავლო პროცესის და მიდგომების შეცვლასთან დაკავშირებით, მშობელთა, მასწავლებელთა და მოსწავლეთა დამოკიდებულებების და ა.შ.).

აღნიშნულ საკითხზე გამოკითხულ მოსწავლეთა ნაწილი დადებით მხარედ მიიჩნევს იმ სტრესის მოხსნას, რაც თან ახლდა გამოცდებს, ასევე ისინი მეტად ორიენტირებულნი იქნებიან პრაქტიკულ ცოდნაზე და არა სისტემურზე, ოჯახებს შეუმცირდათ ხარჯი და მოსწავლეები ემზადებიან მხოლოდ ეროვნული გამოცდებისთვის. „განათლების ხარისხი რათქმაუნდა არ შეიცვლება, არც სკოლის და მასწავლებლების როლო არ შეიცვლება, სასწავლო პროცესს და მიდგომას რაც შეეხება მოსწავლისთვის უფრო

საინტერესო გახდება სწავლა და ორიენტირებული ააღარ იქნება მხოლოდ გამოცდების ჩაბარებაზე“. გამოკითხულ მოსწავლეთა 80% ნეგატიურ შედეგად ასახელებს, რომ სწავლის დონე დაიწევს და ბავშვები ნაკლებ დროს დაუთმობენ სწავლას, 20% აღნიშნავს, რომ განათლების ხარსხთან და სასწავლო პროცესებთან მიმართებაში გამოცდების გაუქმებას არანაირი ნეგატიური შედეგი არ ექნება. „სასწავლო პროცესთან მიმართებით ნებისმიერი შედეგი შეიძლება იყოს ის რომ მოსწავლეთა უმრავლესობამ გამოცდების მოხსნის წუთიდან სწავლა შეწყვიტა. განთლების ხარისხთან არც თუ ისე დიდი ნეგატივები შეიძლება იყოს თუ მოსწავლე ამ საგნების გამოყენებას არ აპირებს მომავალში“. მშობლები გამოხატავენ განსხვავებულ აზრს და დადებითად აფასებენ გამოცდების გაუქმებას შემდეგი მიზეზების გამო:

- გამოცდების გაუქმება ხარისხთან მიმართებით იგივე რჩება, დამატებით დროის და ფულის დაზოგვა
- კომპეტენტური და განათლებული მასწავლებლის შემთხვევაში შესაძლებელია საგაკვეთილო პროცესში აქცენტი გაკეთდეს კრიტიკული აზროვნების განვითარებაზე, რასაც გამოცდა ვერ ამოწმებს.

გამოკითხულ მშობელთა უმრავლესობა ნეგატიურ შედეგს, საატესტატო გამოცდების გაუქმების განათლების ხარისხთან და სასწავლო პროცესთან მიმართებაში ვერ ხედავს. „მოცემული ტიპის საატესტატო გამოცდების გაუქმებას არა მგონია ნეგატიური მხარე ქონდეს პირიქით, შესაძლებელია მისი ჩანაცვლება რაიმე საინტერესო პროექტით, რომლებიც მოსწავლეს განუვითარებს სხვადასხვა საჭირო უნარებს“.

დასკვნა

განხილული ლიტერატურისა და სტატიების საფუძველზე კვლევის ჰიპოთეზა შემუშავდა შემდეგნაირად: კვლევის შედეგები, სავარუდოდ ცხადყოფს, რომ მოსწავლეების და მშობლების დამოკიდებულება საატესატატო გამოცდების გაუქმების მიმართ დადებითია და შეაფასებენ, როგორც დროულ და ზუსტ გადაწყვეტილებად.

პრობლემები გამოვლინდება რეპეტიტოორთა ინსტიტუტის მიმართულებით, კერძოდ სასკოლო საგნებში მომზდებაზე და დამატებითი თანხის გადახდაზე, ასევე სავარუდოა, რომ ისინი იმსჯელებენ, რომ გამოცდების არსებობამ მოსწავლეთა საგაკვეთილო პროცესში ჩართვა ვერ განაპირობა და პირიქით სკოლას უფრო დააშორა, რადგან ყველამ რეპეტიტორთან დაიწყო სიარული, რათა მინიმალური კომპეტენციის ზღვარი გადაელახათ.

კვლევის შედეგების ანალიზმა ცხადყო, რომ კვლევის ორი ჰიპოთეზა სრულად გამართლდა, ხოლო ერთი ნაწილობრივ.

კვლევის პირველი ჰიპოთეზით გამოთქმული ვარაუდი, რომ მოსწავლეები და მშობლები დადებითად შეაფასებენ საატესტატო გამოცდების გაუქმებას, როგორც დროულ და ზუსტ გადაწყვეტილებას გამართლდა, თუმცა მშობელებსა და მოსწავლეებს განსხვავებული ხედვა აქვთ, მოსწავლეები მიიჩნევენ, რომ ამგვარი გამოცდების არსებობა მოსწავლეთა საგაკვეთილო პროცესში ჩართულობის ხარისხზე დიდ გავლენას ახდენს, რადგან როგორც თვითონ აცხადებენ ორიენტირებულები არიან იმ საგნებზე რასაც აბარებენ. რაც შეხება მშობლების განსხვავებულ აზრს ისინი აღნიშნავენ, რომ გამოცდების არსებობა მოსწავლეების საგაკვეთილო პროცესში ჩართულობის ხარისხზე გავლენას ვერ ახდენდა, რადგან ის მოსწავლეები, რომლებიც ისედაც აქტიურად იყვნენ ჩართულები იგივეს აგრძელებენ გამოცდის მერეც, ხოლო ნაკლებად აქტიური მოსწავლეები ორიენტირებას აკეთებენ რეპეტიტორზე, შესაბამისად საგაკვეთილო პროცესი ინტერესს არ იწვევს.

რაც შეეხება მეორე ჰიპოთეზას პრობლემას რეპეტიტორთა ინსტიტუტის მიმართულებით, ვარაუდი ნაწილობრივ გამართლდა მშობლების კუთხით. მშობლების

უმრავლესობა პირველ რიგში უარყოფით მხარეზე საუბრობს და ეს არის თანხა, რასაც შვილის მომზადების პროცესში იხდიან, თუმცა მშობლების მცირე რაოდენობა მის დადებით მხარედ ასახელებს ცოდნას, რომელსაც მოსწავლე იღებს რეპეტიტორთან, რაც შეეხება მოსწავლეებს მათი მოსაზრებაც მშობლებისას ემთხვევა, თუმცა მათთვის დადებითი მხარე უპირველესია და ასახელებენ, რომ იღებენ ხარისხიან განათლებას და ბევრ ახალ ინფორმაციას, ხოლო უარყოფითი მხარე არის თანხა, რასაც იხდიან მომზადების პერიოდში.

მესამე ჰიპოთეზა გულისხმობს, გამოიწვია თუ არა გამოცდების არსებობამ მოსწავლეთა ჩართულობა საგაკვეთილო პროცესში ნაწილობრივ გამართლდა. მოსწავლეები მიიჩნევენ, რომ ამგვარი გამოცდების არსებობა მოსწავლეთა საგაკვეთილო პროცესში ჩართულობის ხარისხზე დიდ გავლენას ახდენს, რადგან როგორც თვითონ აცხადებენ ორიენტირებულები არიან იმ საგნებზე რასაც აბარებენ. რაც შეხება მშობლების განსხვავებულ აზრს ისინი აღნიშნავენ, რომ გამოცდების არსებობა მოსწავლეების საგაკვეთილო პროცესში ჩართულობის ხარისხზე გავლენას ვერ ახდენდა, რადგან ის მოსწავლეები, რომლებიც ისედაც აქტიურად იყვნენ ჩართულები იგივეს აგრძელებენ გამოცდის მერეც, ხოლო ნაკლებად აქტიური მოსწავლეები ორიენტირებას აკეთებენ რეპეტიტორზე, შესაბამისად საგაკვეთილო პროცესი ინტერესს არ იწვევდა.

რეკომენდაციები

კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ საკითხი ღრმად შესწავლას საჭიროებს. კვლევიდან ჩანს, რომ საატესტატო გამოცდებმა მოსწავლეთა ჩართულობა საგაკვეთილო პროცესში ვერ გაზარდა, გარდა ამისა არ გაზრდილა სწავლის ხარისხი, შესაბამისად მნიშვნელოვანია, შემუშავდეს ისეთი სასწავლო გეგმა და ამ გეგმზე

დაყრდნობით დაინიშნოს ისეთი გამოცდები, რომელიც შეამოწმებს არაა ზოგად ინფორმაციას, არამედ მოსწავლის სიღრმისეულ ცოდნას.

როგორც მშობლები და მოსწავლეები აღნიშნავენ გამოცდები უნდა არსებობდეს, ოღონდ შეცვლილი ფორმატით

გამოყენებული ლიტერატურა:

ახალი საგამოცდო მოდელი 8+1, 2012 https://urlzs.com/WoQ1U [25.04.2019]

გორგოძე ს., გვჭირდება საატესტატო გამოცდები? ელ. ჟურნალიდან ლიბერალი, 2017. იხ. <https://bit.ly/2NgP7M0> [15.04.2019]).

განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა, საატესტატო გამოცდები, 2012 https://urlzs.com/uLRUP [20.04.2019].

გამოსაშვები გამოცდები, ვიკიპედია, 2015 **https://urlzs.com/2wSho**

გიგაური თ., რას მივიღებთ საატესტატო და ეროვნული გამოცდების შერწყმით, გურია NEWS, 2015 **https://urlzs.com/iXUX4** [18.05.2019]

ზურაბიშვილი თ., თვისებრივი მეთოდები სოციალურ კვლევაში, თბილისი 2006 [07.06.2019]

ზოგადი ინფორმაცია კატის გამოცდებზე, შეფასების და გამოცდების ცენტრი, 2018 https://urlzs.com/fymWq [22.03.2019]

კვლევის მეთოდები სოციოლოგიურ მეცნიერებებში, ჩავა ფრანკფორტ და დევიდ ნაჩმიასი

ტაბატაძე შ., საატესტატო და მისაღები გამოცდები საქართველოში, ელ. ჟურნალიდან ლიბერალი, 2012. იხ. <https://urlzs.com/RroSQ> [15.04.2019]

ნაჩმიასი ჩ., ნაჩმიასი ფ., კვლევის მეთოდები სოციოლოგიურ მეცნიერებებში, თბილისი 2009 [07.06.2019]

შეფასებისა და გამოცდების სისტემა, კანონშემოქმედებითი საქმიანობის საინფორმაციოუზრუნველყოფის განყოფილება, კვლევითი დეპარტამენტი

ჩახაია ლ., სკოლის გამოსაშვები და ერთიანი ეროვნული გამოცდები, კვლევის ანგარიში, 2019 https://urlzs.com/ixWQn [23.03.2019]

წიკლაური თ., მიხეილ ბატიაშვილის განცხადება, პირველი არხი, 2019 https://urlzs.com/FLavU [20.02.2019]

Bishop, John H., 1999 Are National Exit Examinations Important for Educational Efficiency?. https://urlzs.com/VLTp4 [17.05.2019]

Compiuter Adaptive Testing, Wikipedia, 2019 <**https://urlzs.com/EfDaA**> [18.02.2019]

Hendrik Jürges, Kerstin Schneider, Martin Senkbeil, Claus H.Carstensen, 2012, Assessment drives learning: The effect of central exit exams on curricular knowledge and mathematical literacy, Economics and Education Review, https://urlzs.com/hAj19 [17.05.2019]

Jürges, H. & Schneider, K. J Popul Econ (2010) Central exit examinations increase performance… but take the fun out of mathematics, population economics < https://urlzs.com/wG6fS> [17.05.2019]

Phi Delta Kappan, 2007 Keeping Accountability Systems Accountable, https://urlzs.com/DDwuP [17.05.2019]

დანართი 1

მოსწავლეთა და მშოველთა კითხვარი

დემოგრაფიული ნაწილი კვლევაში მონაწილის (სახელი, გვარი, სკოლა, რეგიონი, რაიონი, კლასი, განათლების დონე და ა.შ)

თავი 1. სკოლის მიზანი და მისია

1. თქვენი აზრით რა არის ზოგადი განათლების მიზნები?
2. თქვენი აზრით რა დანიშნულება აქვს სკოლას? რა უნდა ასწავლოს, რა ცოდნა და რა უნარების განგივითაროს? რისთვის უნდა მოგამზადოს?
3. რა მოთხოვნები და მოლოდინები გაქვთ სკოლიდან? რამდენად ასრულებს თქვენს მოლოდინებს სკოლა?

თავი 2. საატესტატო გამოცდები, როგორც ხარისხის უზრინველყოფის მექანიზმი

1. როგორ ფიქრობთ რა მიზანს / მიზნებს ემსახურებოდა საატესტატო გამოცდების დანერგვა საქართველოში?
2. თქენი აზრით, რამდენად შესაძლებელია ამ ტიპის საგამოცდო სისტემით კონკრეტული მოსწავლის რეალური ცოდნის შემოწმება?
3. როგორ ფიქრობთ, ახდენს თუ არა გავლენას ამგვარი გამოცდების არსებობა მოსწავლეების საგაკვეთილო პროცესში ჩართულობის ხარისხზე?
4. თქვენი შეხედულებით, რამდენად უზრუნველყოფს გამოცდების ჩასაბარებლად საჭირო ცოდნის კონსტრუირებას არსებული სასკოლო განათლების სისტემა?
5. თქვენი აზრით რამდენად უზრუნველყოფს საატესტატო გამოცდების მოსწავლეთათვის ხარისხიანი განათლების მიღებას? გთხოვთ დაასაბუთოთ თქვენი მოსაზრება?
6. თქვენი აზრით, რამდენად გააუმჯობესა მოსწავლეთა ცოდნა და უნარები საატესტატო გამოცდებმა?
7. თქვენი აზრით რამდენად ამოწმებს საატესტატო გამოცდები იმ ცოდნას, კომპეტენციებსა და უნარებს რასაც უნდა იღებდეთ სკოლაში?
8. თქვენი აზრით რამდენად შეცვალა საატესატო გამოცდებმა მასწავლებელთა საგაკვეთილო მიზნები და მეთოდები? რამდენად გახდა სკოლა და

მასწავლებელი ორიენტირებული რომ მოემზადებინეთ გამოცდისთვის თუ არაფერი შეუცვლია გამოცდების შემოღებას?

თავი 3. საატესტატო გამოცდები და რეპეტიოტორობის ინსტიტუტი

1. თქვენი აზრით, რამდენად უწყობდა ხელს საატესტატო გამოცდები რეპეტიტორის ინსტიტუტის განვითარებას საქართველოში? დააკონკრეტეთ რატომ ფიქრობთ ამდაგვარად?
2. რა ინფორმაცია გაქვთ რამდენად ემზადებით თქვენ და თქვენი კლასელები რეპეტიტორებთან საატესტაო გამოცდების ჩასაბარებლად?
3. თქვენი აზრით რამდენად ხშირია შემთხვევები, როცა მასწავლებლები გაიძულებთ მათთან მომზადებას სასკოლო ნიშნის მისაღბად? თუ მასწავლებელთა მომზადება მხოლოდ საატესტატო გამოცდებში ნიშნის მისაღებად და ატესტატის ასაღებად ხდება?
4. თქვენი ინფორმაციით, რამდენად იღებთ რეალურ ცოდნას რეპეტოტორთან საატესტატო გამოცდებისთვის მომზადებისთვის, რაც ცხოვრებაში გამოგადგებათ?
5. თქვენი აზრით რამდენად თანაბარ მდგომარეობაში ხართ რადგან ყველას არ შეუძლია საატესტაო გამოცდებისთვის მომზადება? ხომ არ განაპირობებდა ოჯახების სოციალური მდგომარეობა საატესტატო გამოცდებში წარმატებას?
6. თქვენი აზრით, რა ფაქტორებით არის განპირობებული რეპეტიტორების ინსტიტუტის არსებობა საქართველოში?
7. თქვენი აზრით რა დადებითი და რა უარყოფითი მხარეების გააჩნია რეპეტიტორის ინსტიტუტის არსებობას საქართველოში?
8. თქვენი აზრით, საატესტატო გამოცდების გაუქმება გამოიწვევს თუ არა რეპეტიტორების ინსტიტუტის დასუსტებას და იმოქმედებს თუ არა დადებითად ოჯახის ხარჯების შემცირებაზე

თავი 4. დამოკიდებულებები საატესტატო გამოცდების შეცვლასთან დაკავშირებით

1. რა დამოკიდებულება გაქვთ საატესტატო გამოცდების გაქუმებასთან დაკავშირებით ? დაასაბუთეთ თქვენი დამოკიდებულების მიზეზები და არგუმენტები?

2. როგორ ფიქრობთ, რა საფუძვლები შეიძლება ჰქონოდა საატესტატო გამოცდების გაუქმების ინიციატივას?

3. თქვენი წარმოდგენით, რას შეცვლის ეს გადაწყვეტილება ქართულ სასკოლო განათლების სისტემაში?
4. რა დადებითი მხარეები შეიძლება ჰქონდეს საატესტატო გამოცდების გაუქმებას? (განათლების ხარისხთან მიმართებით, სკოლის და მასწავლებლის როლსა და სტატუსთან მიმართებით, სასწავლო პროცესის და მიდგომების შეცვლასთან დაკავშირებით, მშობელთა და მოსწავლეთა დამოკიდებულებების და ა.შ. , მასწავლებლის შეეცადეთ მაქსიმალურად კონკრეტულად ისაუბროთ?
5. თქვენი აზრით რა ნეგატიური შედეგები შეიძლება ჰქონდეს განათლების ხარისხთან და სასწავლო პროცესთან მიმართებით საატესტატო გამოცდების გაუქმებას?